ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 16 მაისი 2002 №87 (1609) ფასი 50 თეთრი


**REAL**



REUTERS ფოტო

# ზიდანის ცხრიანი რეალის ცხრიანია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## გუშინ 100 წლის მადრიდის „რეალმა" ჩემპიონთა თასი მეცხრედ მოიგო



REUTERS ფოტო

# ჩემპიონთა ლიგა. ფინალი

# რეალი 2:1 ლევერკუზენი

**გლაზგო. „ჰემპდენ პარკი". 52 000 მაყურებელი. მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)**

რეალი: სესარი (კასილიასი 68), სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, სოლარი, მაკელელე (კონსეისაო 73), ზიდანი, ფიგუ (მაკმანამანი 61), რაული, მორიენტესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

1:0 რაული (9), 1:1 ლუსიო (14), 2:1 ზიდანი (45)
გაფრთხილება: ლუსიო, სალგადო, რობერტო კარლოსი

ლევერკუზენი: ბუტი, პლასენტე, სებესკენი (კირსტენი 65), ლუსიო (ბაბიჩი 90), ზივკოვიჩი, შნაიდერი, რამელო, ბალაკი, ბაშთურქი, ნოივილი, ბრდარიჩი (ბერბატოვი 39)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

# ზიდანმა და რეალმა ერთმანეთს თასი აჩუქეს


ტორერო რაული „ჰემპდენ პარკის" კორიდაზე


„ლევერკუზენის" კომერციულ მენეჯერ რაინერ კალმუნდს მარცხმა სუნთქვა შეუკრა


ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი: აი, ჩემი რეალი!

**ზინედინ ზიდანს,** მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, ბედი მაინც არ სწყალობდა. აბა, როგორი საქმეა, ზედიზედ სამჯერ გახვიდე ევროფინალებში და სამჯერვე წააგო — 1996 წელს, „ბორდოში" თამაშისას, უეფას თასი „ბაიერნმა" აართვა, მერე „იუვენტუსში" გადავიდა და „დორტმუნდთან" და „რეალთან" დათმო ჩემპიონთა თასი. მოკლედ, რაღა ზიდანი და რაღა ექტორ რაულ კუპერი. ახლა კი გაირკვა, ზიდანის საშველი იმ კლუბში ყოფილა, 1998 წლის ლიგის ფინალში რომ გაამწარა. მეორე მხრივ კი, ზიდანი თავად აღმოჩნდა „რეალის" მშველელი — აწ უკვე ევროპის ცხრაგზის ჩემპიონს გამარჯვება მისმა გოლმა მოუტანა.

დიდებული გოლი იყო, ერთი შეხებით დამუშავებულ-გასროლილი მარცხენა ცხრიანში. კი ბატონო, ბაიერელები იმ ეპიზოდში უხეშად შეცდნენ, საჯარიმოს სიახლოვეს ზიდანის უმეურვეოდ დატოვება როგორ იქნებოდა, მაგრამ გოლს ეს ვერ აკლებს ბრწყინვალებას. არანაკლები იყო რაულის გოლიც და ვერც მას დააკლებს რამეს ლაპარაკი, შეეძლო თუ არა ჰანს-იორგ ბუტს მისი აღება. ხოლო რობერტო კარლოსმა თავისი საარაკოდ ქცეული არაადამიანური გამძლეობისა და ყუმბარა-დარტყმის კვალად სხვა რამაც დაამტკიცა — ძალა ხელშიც აქვს და მეპასეც სანაქებოა. პირველი გოლისას თითქმის ცენტრიდან ჩააწოდა აუტი და ბურთი საჯარიმოსთან ჩაუგდო რაულს, ზიდანს კი ისეთი პასი მისცა, ფრანგი უკეთესს ვერც ინატრებდა.

გუშინდელ თამაშს სხვა გმირიც ჰყავდა — იკერ კასილიასი, მეკარე, რომელიც შემთხვევის წყალობით აღმოჩნდა მოედანზე და...

თუმცა კასილიასის გმირობა ბოლო წუთების ამბავი იყო, მატჩის წინ კი „ჰემპდენ პარკზე" პატივი მიაგეს ვალერი ლობანოვსკის ხსოვნას. მერე მატჩიც დაიწყო და რაულის სწრაფმა გოლმა თითქოს „ლევერკუზენის" დაცემა ნაადრევად გადაწყვიტა. მაგრამ ეს ის „ლევერკუზენია", ფინალამდე „ლივერპულთანაც" რომ აგებდა და „მანჩესტერთანაც", თამაშის შემობრუნება კი შეძლო. ახლაც ასე მოხდა, ლუსიო ფერეირა და სილვამ ჯარიმიდან ჩაკიდებულ ბურთს თავი დაუხვედრა და ანგარიში გაათანაბრა. არადა, მატჩის მხოლოდ მე-14 წუთი იყო.

შეიდიოდ წუთიც და, იმავ ლუსიომ ჭკვიანური პასით თომას ბრდარიჩი სესარს პირისპირ შეატოვა, მაგრამ ბრდარიჩმა, ვისაც „რეალისთვის" წინა სეზონში გაუტანია, ამჯერად ვერ ივარგა. პირველი ტაიმის მიწურულს კი ერთი მომენტიც შეიქმნა, რომელზეც უკვე ვთქვით — ზიდანის გოლზე.

შესვენების მერე საწყისი ბრწყინვალების კვალიც აღარ დარჩა, ლიგის ფინალი რაღაც რიგით, უსახურ თამაშს დაემსგავსა. თუმცა „რეალის" რა ბრალია, აკი ანგარიშში ჩამორჩენილს მართებს მეტი ფხის გამოჩენა, რასაც გერმანელები ვერა და ვერ ახერხებდნენ. მიხაელ ბალაკსაც არაფერი ეტყობოდა „ოქროს ბიჭობისა", შეცვლაზე შესულ ბებერ ულფ კირსტენს კი ბურთი არც მიუღია. ერთადერთი, რითაც ბაიერელებმა მეტოქეს ავნეს, მეკარე სესარის დაშავება იყო და კარში კასილიასი ჩადგა.

ბოლო წუთების დრამატიზმი კი ნაღდად ღირდა უქმად გაცდენილ მეორე ტაიმად, რისი შემოქმედიც– ჰანს იორგ ბუტი შეიქნა. მადრიდელთა საჯარიმოში ჩასულმა მეკარემ თავურით რაღაც სანტიმეტრებით ააცილა ბურთი კარს, ხოლო ამ ეპიზოდს სამი სხვაც მოჰყვა — კასილიასმა დიდებულად მოიგერია ვერაგულად დარტყმული, მერე მადრიდელმა მცველმა გამოიტანა ბურთი კარის ხაზიდან, ბოლოს კასილიასმაც იგივე გააკეთა და... თამაშიც დასრულდა. ლევერკუზენის „ბაიერმა" 4 მაისიდან თორმეტ დღეში სამი ჯილდო დაკარგა, რომლებთანაც თითო ნაბიჯიღა აშორებდა — ბუნდესლიგის ჩემპიონობა, გერმანიის თასი და გუშინ ესეც.

და თუ რა ხდებოდა თამაშის მერე „ჰემპდენ პარკზე", მოყოლად არ ღირს — იმ ზღვა ემოციების ქაღალდზე გადმოტანა გვარიანად რთული საქმეა.

**გიორგი დარჯანია**


ლევერკუზენელი ლუსიოს (№19) გოლმა გერმანელებს მხოლოდ სული მოათქმევინა

## პოლონეთი

**ლიგის თასი**
**ნახევარფინალი. I მატჩი**

რადომსკო 0:1 ლეგია

## ამხანაგური მატჩები

საბერძნეთი 3:1 კვიპროსი
შვეიცარია 1:3 კანადა

ამ კაცმა სამ წელიწადში პატარა საფეხბურთო ზღაპარი დაწერა. ავთანდილ მანგოშვილმა დიდი ავტორიტეტის, მონდომებისა და შრომის შედეგად არნახული გამარჯვება მოუტანა ქიზიყს. ხუთწლიანი შესვენების მერე თელავის, ყვარელისა და გურჯაანის შემდეგ კიდევ ერთი კახური გუნდი — წნორის „მილანი" ითამაშებს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

მანგოშვილის წარმატება ორმაგად დასაფასებელია, რადგან მან ქართულ ფეხბურთში არსებული ბინძური მეთოდების გვერდის ავლით მოიპოვა ტრიუმფი. „მილანს" ერთი წლით ადრე შეეძლო უმაღლესი ლიგის დაჭაშნიკება, მაგრამ მაშინ მანგოშვილის პატიოსნებამ შეუშალა ქიზიყურ გუნდს ხელი. შარშან ძველანგურ სარბიელზე ჩემპიონატის ბოლო ტურში მასპინძლებს ფრეც პყონიდათ „გურიასთან". ამ შედეგით ორივე გუნდი უმაღლესი ლიგის ბინადარი ხდებოდა, მაგრამ მანგოშვილმა სტუმართა შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი თქვა. პრეზიდენტმა სიტყვა მას შემდეგაც არ გატეხა მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე გურულები რომ დაწინაურდნენ, სტუმარ-მასპინძელი ამაოდ გასცქეროდა მანგოშვილს. მან უარის ნიშნად გაიქნია თავი. მატჩიც „გურიამ" მოიგო, კახელებს კი დიდი იმედგაცრუება და კვლავაც პირველი ლიგა შერჩათ ხელთ...


ავთანდილ მანგოშვილი

# სამართალმა უმაღლესი ჭამა

## ქიზიყური მილანის დაბადება

## იტალიელებმა თოფის სროლით აღნიშნეს

— ჩემი უახლოესი მეგობარი, ნათესავიც რომ ყოფილიყო მაშინ ვინმე სტუმართა მხრიდან, მაინც არ დავთანხმდებოდი შემოთავაზებულ წინადადებას. ჩემი უმთავრესი მიზანი პატიოსანი, ღირსეული ბრძოლაა და ერთი წლის წინანდელ გადაწყვეტილებაზე არასდროს მინანია, მით უფრო, რომ დღეს ორმაგად ბედნიერი ვარ, რადგან სიმართლით ვიარეთ მიზნისკენ. გარწმუნებთ, ამ გზით მოპოვებული წარმატება უფრო ტკბილია.

**— ფეხბურთში როგორ მოხვდით?**

— ქიზიყში ამბიცია და ფეხბურთის სიყვარული ყოველთვის ჰქონდათ, მაგრამ სასურველი შედეგი არ ჩანდა. ოთხი წლის წინ ჩემთან ადგილობრივი ფეხბურთელები მოვიდნენ, მთხოვეს, უპატრონოდ ვართ, მოგვხედეთ და თავს არ დავზოგავთო. მთხოვნელები სამჯერ უარით გავისტუმრე, რადგან ფეხბურთისგან შორს ვიდექი, მაგრამ ბოლოს მაინც დამიყოლიეს და ასე შეიქმნა „ლარწყალი", რომელსაც პირველივე წელს შეეძლო უმაღლეს ლიგაში თამაში, მაგრამ მაშინ ფედერაციამ და მსაჯებმა გაგვწირეს. გადათამაშებაში გორში, ნეიტრალურ მოედანზე, „დინამო 2"-ს შევხვდით. მსაჯებმა ყველაფერი გააკეთეს თბილისელთა სასარგებლოდ. აბა, ვის რაში აძლევდა ხელს სოფლის გუნდის უმაღლეს ლიგაში გადმოსვლა.

**— მახსოვს, მაშინ ისეთი გულგატეხილი იყავით, საერთოდ აპირებდით გუნდის დაშლას და ფეხბურთიდან წასვლას.**

— ცხელ გულზე მართლაც მსურდა ამის გაკეთება, რადგან ვფიქრობდი, რომ ყოველთვის შეგვიშლიდნენ ხელს, მაგრამ დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვება არ მჩვევია, თანაც ბიჭებიც ვერ გავწირე და სწორედ მაშინ დავიფიცე რომ გუნდს უმაღლეს ლიგაში გადავიყვანდი. მაშინ მქონდა საშუალება და ფეხბურთელები შეკრებაზე წავიყვანე რაჭაში. კახეთში დაბრუნებულებსაც იმის პირობა შევუქმენი, რომ საბაზო რეჟიმზე გადასულიყნენ, ერთად ყოფილიყვნენ, ერთმანეთს შესისხლხორცებოდნენ. უმთავრესი მათთვის წვრთნა და გუნდური სულის ამაღლება იყო, რასაც მივაღწიე კიდეც და ბოლო ტურის მატჩში „გურიასთან" დასანანი მარცხი რომ არ ყოფილიყო...

**— „ლარწყალი" „მილანით" შეიცვალა. რატომ შეუცვალეთ გუნდს სახელი?**

— ბავშვობიდან მიყვარს იტალიელები, დიდ პატივს ვცემ მათ. მილანში მეგობრებიც მყავს. ერთხელ ქიზიყშიც მესტუმრნენ, სანადიროდ წავიყვანეთ ნაკრძალში და მაშინ გადავწყვიტე, გუნდისთვის „მილანი" დამერქმია. ამ გუნდსაც დიდ პატივს ვცემ, თანაც სტუმრები დამპირდნენ, რაც შეგვეძლება, იტალიიდან დაგეხმარებით, თქვენს გვერდით ვიქნებითო. ბოლოს და ბოლოს, „მილანი" ჩემში გამარჯვებულთან ასოცირდება და მინდა, ნაღდი „მილანის" გზით იაროს ჩემმა გუნდმაც.

**— ძველ ანაგაში თქვენ მოაწყვეთ სტადიონი, ახალ სარბიელს წნორშიც აშენებთ გუნდისთვის. რაიონის ხელმძღვანელები თუ გიდგანან გვერდში?**

— რაც ფეხბურთში ვარ, რაიონში სამჯერ შეიცვალა გამგებელი და ჩვენთვის სასიკეთო არც ერთს არაფერი გაუკეთებია. მგონი, ურიგო საქმეს არ ვაკეთებ, ხალხს ფეხბურთისკენ მოუბრუნდა გული, სხვადასხვა ასაკის ბავშვებს ვზრდით, სტადიონს ვაშენებთ. ყველაფერი ეს ქიზიყში ფეხბურთის აღორძინებისთვის კეთდება და დასანანია, უყურადღებოდ რომ ვყავართ მიტოვებული. თვენახევრის წინ კიდევ შეიცვალა გამგებელი. ვნახოთ, რა ფეხს გამოიჩენს, ბოლოს და ბოლოს გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავიდა, ეს პატარა ამბავი არ არის, უკვე სხვა მასშტაბებზეა საუბარი და მარტო ჩემი და ჩემი მეგობრების ძალისხმევა ვერ გაწვდება ამ დიდ საქმეს.

**— საეჭვოა, ფედერაციამ ძველი ანაგის სარბიელი უმაღლესი ლიგისთვის ვარგისიანად ცნოს. წნორშიც თუ ვერ მოასწარით სტადიონის აშენება, გამოდის, უსახლკაროდ შეხვდებით უმაღლეს ლიგას.**

— წნორში დღე და ღამეს ასწორებენ მუშები, მაგრამ მაინც ნელი ნაბიჯით მოვიწევთ წინ, რადგან ჩემი შესაძლებლობები მეტს ვერ სწვდება. ასეთი ტემპით გაისად თუ დავამთავრებთ სტადიონის მშენებლობას. ამიტომაც მინდა თანადგომა, რომ ეს პროცესი დაჩქარდეს, თორემ ნეიტრალურ მოედანზე თამაში „მილანს" სიკეთეს ვერ მოუტანს.

**— გუნდზეც ვთქვათ, რის ხარჯზე შეძლო „მილანმა" ამ წარმატების მოპოვება?**

— ჟინის, თავდადებისა და ერთგულების. შვილებივით მიყვარს ჩემი ბიჭები. უღალატონი არიან და საქმეში ბოლომდე იხარჯებიან. ყველას დამსახურებაა ეს გამარჯვება. გუნდში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი მყავს, დღესვე უპრობლემოდ რომ ითამაშებენ უცხოურ კლუბებში. ზაზა მედოევის და ოთარ ვარამაშვილის დათმობას ბევრი ჩვენი უმაღლესლიგელი მთხოვდა, მაგრამ ყველამ უარი მიიღო, რადგან ჩემი მიზანი ფეხბურთელით ფულის კეთება არაა. ესენი ჯერ ახალგაზრდები არიან და იმის დროც მოვა, რომ უცხოეთშიც იტყვიან თავიანთ სიტყვას, იქ კი გარწმუნებთ, მხოლოდ „მილანიდან" მოხვდებიან.

გამორჩევით მინდა აღვნიშნო სოსო ბარამიძის ღვაწლი. ამ კაცის თავდადებას და პროფესიონალიზმს ძალიან ვაფასებ, ამიტომაც ვანდე გუნდის გაძღოლა და ბარამიძემ ორივე ფრონტზე ჩინებულად გაართვა საქმეს თავი.

**— „მილანს" რა მიზანი ექნება უმაღლეს ლიგაში?**

— ერთი რამ ვიცი, გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ გაუჭირდება. „მილანის" ძირითად ბირთვს შევინარჩუნებ, ამათ სამ-ოთხ გამოცდილ ფეხბურთელსაც დავუმატებ, სეზონის დაწყებამდე რაჭაში — ქვემ-ვაკეში მოვემზადებით. შეკრებას ზღვაზეც გავივლით. არ არის გამორიცხული, იტალიაშიც მოვახერხოთ მომზადება, მერე კი დანარჩენს ჩემპიონატი გამოაჩენს.

**ბაატა ძმანტალიანი**

## ინტერტოტოს თასი

# ქართულ უცნობს ლოკერენი ერგო

ჯერაც უცნობი ქართული გუნდი 22 ივნისს „ინტერტოტოს თასის" გასვლით მატჩს გამართავს. კენჭისყრის შედეგით ქართველებს პირველ წრეში ბელგიური ბარიერი დახვდებათ. გუშინ ბელგიელებმა „ტოტო-გუნდი" დაასახელეს. ჩვენებურებს „ლოკერენის" მეტოქეობა მოუწევთ.

1970 წელს ლოკერენის ორი გუნდი — „რასინგი" და „სტანდარდი" გაერთიანდა და შეიქმნა „სპორტინგ ლოკერენი". გუნდი იმ წელს ბელგიის ჩემპიონატის მეოთხე ლიგაში ჩაება და ოთხი წლის შემდეგ უმაღლეს ლიგაში ამოყო თავი. „ლოკერენს" ეს წარმატება ლადისლავ ნოვაკმა მოუტანა. მისი გაწვრთნილი გუნდი ორი წლის შემდეგ უეფას თასზეც მოხვდა და თავი არ შეურცხვენია. ეგ კი არა, ბელგიელებმა მეორე ეტაპის პირველ მატჩში იოჰან კრუიფის „ბარსელონას" სძლიეს 2:1, თუმცა კატალონიაში 0:2 დამარცხდნენ და გათამაშებას დაემშვიდობნენ. მერე კი გუნდში პოლონელი გჟეგოჟ ლატო მივიდა. ამ ფეხბურთელმა თანამემამულე ლუბინსკისთან ერთად საგრძნობლად შეცვალა „ლოკერენის" თამაში და წარმატებამაც არ დააყოვნა. 1980-81 წლების სეზონში „ლოკერენი" ბელგიის ვიცე-ჩემპიონი გახდა (ბელგიის ჩემპიონატში გუნდისთვის დღემდე საუკეთესო შედეგია) და უეფას თასის ნახევარფინალს უწია, ლოკერენელებმა პირველ ეტაპზე მოსკოვის „დინამო" ჩამოიშორეს გზიდან. მერე კი აღმართს ისევ დაღმართი მოჰყვა და 90-იან წლებში სამი სეზონი გუნდმა ქვედა დივიზიონში გაატარა. რჩეულთა ლიგას „ლოკერენი" ბელგიელმა სპეციალისტმა ფაი ვან ჰოფმა დაუბრუნა 1996 წელს. მას შემდეგ „ლოკერენი" დღემდე ცდილობს ბელგიის მოწინავეთა შორის მოხვედრას და წლეულს უეფას საგზურსაც მოიპოვებდა, ბოლო კალენდარულ საშინაო მატჩში „ანდერლეხტი" რომ დაემარცხებინა.

„ლოკერენმა" ინტერტოტოს თასზე პირველად 1999 წელს ითამაშა და ორი მატჩის ჯამში ისლანდიური „აკრანესი" ჩამოიშორა გზიდან. მაგრამ მომდევნო ეტაპზე ვერაფერი მოუხერხა ფრანგულ „მეცს". ბელგიელთათვის შედარებით წარმატებული შარშანდელი „ტოტო-ტურნირი" გამოდგა. გუნდმა ორი ეტაპი გაიარა — „ტოფტირს" და „ზაგლებიეს" აჯობა, მაგრამ მესამე წრეში „ნიუკასლთან" დამარცხდა ორრაუნდიან ბრძოლაში.

ბელგიის გასულ ჩემპიონატში გუნდს პოლ პატი წვრთნიდა. ამ კაცმა წლეულს გუნდი მე-7 ადგილზე გაიყვანა და კლუბის გადაწყვეტილებით მომავალ სეზონშიც უხელმძღვანელებს „ლოკერენს", რომლის სრული სახელიც დღეს „სპორტინგ ლოკერენ სენტ ნიკლას ვაასლანდია", რადგან 2000 წელს გუნდი ორგანიზაცია „სენტ ნიკლას ვაასლანდმა" შეისყიდა. გასულ ჩემპიონატში გუნდში ყველაზე მეტად გვინეელმა სამბეგი ბანგურამ გამოიჩინა თავი. 20 წლის ფორვარდმა, რომელსაც კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, 12 გოლის გატანა შეძლო ჩემპიონატში. სტაბილურად ითამაშეს გუნდის სკანდინაველმა ლეგიონერებმაც, კრისტინსონ-ვიდარსონ-გრეტარსონის ტრიო მომავალ სეზონსაც „ლოკერენში" გაატარებს. აქვეა ქართველთა ერთი სლოვენიელი ნაცნობი. მეკარე მლადენ დაბანოვიჩი თავისი ქვეყნის ნაკრებს სამი წლის წინ თბილისშიც ახლდა. დაბანოვიჩი „ლოკერენს" მშობლიური „რუდარიდან" შეუერთდა, გუნდთან 2004 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი და შარშან თერთმეტ მატჩშიც ითამაშა ბელგიურ ჩემპიონატში.

„ლოკერენზე" საუბრისას იან კოლერსაც ვერ ავუვლით გვერდს. „დორტმუნდის" ჩეხი შემტევი 1998-99 წლებში ბელგიელთათვის ირჯებოდა და იმ სეზონში კლუბის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულიც მოიპოვა.

ჩრდილო-ბელგიური გუნდის საინტერნეტო გვერდს თუ ვერწმუნებით, ბელგიელები გუნდის ევროპულ პერსპექტივას ეჭვის თვალით უყურებენ, მაგრამ დარწმუნებულნი არიან, რომ ჯერაც უცნობ ქართულ მეტოქეს უპრობლემოდ ჩამოიცილებენ გზიდან.

მოკლედ, ჯერჯერობით ბელგიელთა მსგავსად ჩვენც ერთი რამ გვაქვს გასარკვევი — რომელი გუნდი ითამაშებს 22 ივნისს 12-ათასიან „დაკნამზე".

**ბაატა ძმანტალიანი**



სამბეგი ბანგურა


„ლოკერენი" 2001-02 წლის სეზონის ინტერტოტოს საგზურს გამორჩა

# ლევან კობიაშვილი ჰემპდენ პარკიდან

## მის მსურველ ლევერკუზენსა და ოცნების გუნდზე

*— ლევან, გლაზგოში შენი მომავალი გუნდის თამაშის საცქერლად მიდიხარ?*

— ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასასწრებად. ჯერაც არ ვიცი ჩემი მომავალი გუნდი „ლევერკუზენი" იქნება თუ სხვა...

ერთი კი უკვე გადაწყვეტილია, ბუნდესლიგიდან გავარდნილ „ფრაიბურგს" ლევან კობიაშვილი დატოვებს და მომავალ სეზონს სხვა გუნდში დაიწყებს. ლევანს სერია A-დან და პრემიერლიგიდანაც ეპატიჟებიან, მაგრამ ყველაზე რეალური ეს გახლავთ — ლევან კობიაშვილი ბუნდესლიგაში დარჩება, მას გერმანიაში ბევრი მსურველი ჰყავს და ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელადაც ითვლება.

ნუხელ კი ლევან კობიაშვილი გლაზგოს გზაზე იდგა. ის „რეალ" — „ლევერკუზენის" ფინალურ მატჩზე დასასწრებად მიემურებოდა და „სარბიელის" კითხვებს პასუხობდა.






ლევან კობიაშვილს ანდრეას ბრემემაც დაადგა თვალი

— ჯერაც არ ვიცი ჩემი მომავალი გუნდი „ლევერკუზენი" იქნება თუ სხვა, ეს გაურკვეველია. დღესდღეობით კონკრეტულად ვერ გიპასუხებთ.

**— კი, მაგრამ, კობიაშვილის „ლევერკუზენში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი საქმეაო, ამბობენ.**

— ამბობენ, მაგრამ რაც მე არ ვიცი, იმას ვერ ვიტყვი. გერმანიაშიც მეკითხებიან „ლევერკუზენის" ფეხბურთელი უკვე ხარ თუ არაო, მე კი ვერაფერს ვპასუხობ. ჩემი მომავალი კლუბის ვინაობა მომავალ კვირაში უნდა გაირკვეს.

**— მეტი არაფერი გსმენია შენს ტრანსფერთან დაკავშირებით?**

— ჯერჯერობით „ლევერკუზენსა" და „ფრაიბურგს" შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს. ამ საქმეში ჩემი აგენტიც ჩაბმულია.

**— „კაიზერსლაუტერნსაც" ჰქონია შენი შეძენის სურვილი. ეს მწვრთნელმა ანდრეას ბრემემ განაცხადა.**

— ესეც ვიცი და „ფრაიბურგის" ხელმძღვანელობას რამდენჯერმე შეეხმიანენ კიდეც.

**— „ლევერკუზენისა" და „კაიზერის" შანსები ერთნაირია?**

— ეს „ფრაიბურგს" ჰკითხეთ.

**— კობიაშვილს იტალიიდან და ინგლისიდან შეეხმიანენო, მართალია? რომელი კლუბებიდან?**

— იქაური კლუბები მართლაც არიან ჩემით დაინტერესებულნი, თუმც მე არავინ დამკავშირებია, ეს ამბავი აგენტმა გადმომცა.

**— საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად როცა დასახელდი, თქვი, ოცნების გუნდი მადრიდის „რეალი" არისო. დღეს ვის ქომაგობ? ხვალ ევებ „ლევერკუზენის" მაისურა მოირგო.**

— შესაძლოა ეს მოხდეს, მაგრამ დღეს ერთი ჩვეულებრივი, ემოციური გულშემატკივარი ვიქნები. ვფიქრობ, დაძაბული და რაც მთავარია, ლამაზი მატჩი უნდა იყოს. „რეალის" თამაში ძალიან მაინტერესებს, ასეთ ვარსკვლავებს ყოველდღე ვერ ნახავ.

**კობა ინასარიძე**

# კანდიდატი №3

## ფედერაციამ პეტრიაშვილი აღიარა



დავით პეტრიაშვილი

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მოსურნე დავით პეტრიაშვილმა გუშინ პრეზიდენტობის კანდიდატობისთვის საჭირო საბუთები შეკრიბა და ფედერაციაში გაგზავნა, თავად კი შვეიცარიაში, 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა.

სფფ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ თავისი ძველი თანამშრომლის ავტობიოგრაფია და სხვა საბუთები ყურადღებით ჩაიკითხა და პეტრიაშვილს საარჩევნო მარათონში მწვანე შუქი აანთო — გუშინ სფფ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა და ტრანსფერების კომიტეტების ყოფილი თავმჯდომარე ოფიციალურად გახდა პრეზიდენტობის კანდიდატი, მესამე ამჟამინდელი პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიასა და საფეხბურთო კლუბ „მრეტების" პრეზიდენტის, ვაჟა ჩხაიძის შემდეგ.

**გამუკა ძვანტალიანი**

# ქართული ლექცია ფრანგული ღუღუნით

**3 ივნისს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელთა მომზადების მორიგ სემინარს დაიწყებს. წინა პროგრეს-კურსების 22-მა მონაწილემ გაზაფხულის დასაწყისშივე მიიღო B კატეგორიის ლიცენზია, რაც ბავშვთა, იუნიორთა და სამოყვარულო გუნდებთან მუშაობის უფლებას იძლევა.

საქართველოში მწვრთნელთა განათლების დირექტორმა გაიოზ დარსაძემ სამუშაო გეგმა უკვე წარადგინა ფედერაციაში და 3-7 ივნისს დაახლოებით 25 მსმენელს დაძაბული და დატვირთული დღეები მოელის.



გაიოზ დარსაძე

გაიოზ დარსაძემ პროგრეს-კურსებზე მოიწვია უეფას ფრანგი ინსტრუქტორი ჟაკ დე ვიმი, რომელიც თავადაც წაიკითხავს ლექციებს.

კურსები ამჯერადაც „დინამოს" დილმის ბაზაზე ჩატარდება. ამის შესახებ უეფაში უკვე იციან და ბაზაც სრულად აკმაყოფილებს იქაურ მოთხოვნებს. მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში არცთუ ადვილია, ფეხბურთს თვალი მოსწყვიტო და ლექციები ისმინო, მაგრამ სამუშაო გრაფიკი ისეა შედგენილი, რომ არც კორეა-იაპონიას მოსცდებიან მსმენელები და არც „დინამოს" შეეშლება ხელი.

**დათო დანელია**


# ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»

საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58




საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93

# ინდსაწარმო «არეალი»

თანამედროვე დიზაინით და ტექნოლოგიებით

ამზადებს ნებისმიერი სახის

საოფისე ავეჯს

სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს



მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის 97 (ბეტონის ქარხანა ბარაბი)
ტელეფონები: 39 00 98 ან 8 99 54 07 01



ხელმისაწვდომი ფასები

გადახდის ნებისმიერი ფორმით

# საფეხბურთო კლუბი „პრემა"

## აცხადებს

1984-1985 წლებში დაბადებული ფეხბურთელების მიღებას (რეგიონული ლიგა)

ფეხბურთელების შერჩევა მოხდება ტესტირების მეთოდით.

განცხადებების მიღება იწარმოებს 15 მაისიდან ყოველდღე (კვირის გარდა) 12[00]-14[00] და 15[00]-17[00] ამ.წ. 16 ივნისამდე.

ტესტების ჩაბარება ფიზიკურ მომზადებაში დაიწყება ყოველ კვირა დღეს დილის 10 სთ-ზე. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №49, მძლეოსნობის მანეჟი, მე-2 სართული, ოთახი 6 (ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონის უკან).

*საფეხბურთო კლუბ „პრემას" ადმინისტრაცია*

# იყიდება უნიკალური წიგნები

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები.

ტ. 30-75-81



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა–იაპონია 2002

**მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 15 დღე**



ოლივერ კანი მეგოლე რობერტ არნშოუს შემოსწყრა

REUTERS

## ნუ შექმნით ტრაგედიას

### გერმანია

**უელსი 1:0 გერმანია**

1:0 არნშოუ (46)

უელსი: კროსლი, მ. დილანი, ბეიჯი, მელვილი, ს. დევისი, პემბრიჯი, სპიჯი, სავიჯი, ჰარტსონი, არნშოუ (ტროლოპი 90), გიგზი

გერმანია: კანი, ლინკე, ჰაინრიხი, მეცელდერი, ციგე (ბოდე 62), იერემისი, ფრინგსი, ჰამანი (კელი 72), ქაისლერი (ასამოა 62), ბირჰოფი (იანკერი 72), კლოზე

მსაჯი: როი ჰელგე ოლსენი (ნორვეგია)

35 000 მაყურებელი

**სამშაბათს** კარდიფის „მილენიუმზე“ გერმანელთა მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა კიდევ ერთხელ იხილა თავისი გუნდის უნიათო თამაში. მეორე ტაიმის დასაწყისში უელსელთა დებიუტანტ რობერტ არნშოუს გატანილი ჩინებული გოლი მატჩში ერთადერთი გამოდგა. გერმანიამ უელსში 1991 წლის შემდეგ პირველად წააგო, რუდი ფიოლერის თავკაცობით გამართულ 20 შეხვედრაში კი ეს მეხუთე მარცხია.

ზანტად მოთამაშე ბუნდესნაკრების გადამკიდე, ფიოლერს ნუგეშად შეიძლება ისღა დარჩა, რომ იმ საღამოს ცნობილი მიზეზით ლევერკუზენის „ბაიერის“ ფეხბურთელები აკლდა, განსაკუთრებით კი მიხაელ ბალაკი, ურომლისოდაც გერმანია აბსოლუტურად განსხვავებული, დაბეჩავებული გუნდია.

ფიოლერმა გვარიანად ინერვიულა, მერე კი თქვა: „ძალიან ამხანაგურად და არასერიოზულად ვიყავით განწყობილნი, თანაც ზოგიერთმა მოთამაშემ ახლაღა მოიშუშა ტრავმები. კარგი იქნებოდა, მეტი გვემოძრავა, მაგრამ რა გაეწყობა, ამ მარცხისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ავსტრიასთან მომდევნო მოსამზადებელ მატჩში განსხვავებულად ვითამაშებთ, კორეა-იაპონიაში კი სულ სხვა გუნდს იხილავთ“.

იმედს არ კარგავს მეკარე ოლივერ კანიც: ვერ ვიტყოდი, რომ ძალიან ცუდად ვითამაშეთ, განსაკუთრებით ბოლო თხუთმეტ წუთს, თუმცა აგრესიულობა გვაკლდა. ახლა ავსტრიელებთანაც ვნახოთო.

**სოლომონ გულისაშვილი**



სამ გოლში ოლე გუნარ სოლსკიაერისაც არ ყოფილიყო, გასაკვირი ის იქნებოდა

REUTERS

## რატომ წახვედი შენ პარიზში?!

### იაპონია

**ნორვეგია 3:0 იაპონია**

1:0 ბერგი (73), 2:0 რუშფელდტი (77), 3:0 სოლსკიაერი (84)

ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, იონსენი (ლუნდეკვამი 46), ბერგი, რიისე, იფერსენი (რუშფელდტი 73), ანდერსენი, ლუნდარფსენი (რისეტი 86), ბაკე, სოლსკიაერი, სორენსენი (ტესემი 46)

იაპონია: კაწაგუჩი, მიამოტო, ნაკაზავა, კ. ნაკატა (მატორი 81), ფუკუნიში, ინამოტო (ტოდა 46), იჩიკავა (მიოინი 46), ონო, ჰ. ნაკატა, სუზუკი (სანტოში 86), კუბო (იანაგისავა 46)

8 346 მაყურებელი

**მსოფლიოს** ჩემპიონატის თანამასპინძელმა იაპონიამ მორიგი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ამჯერად აზიელები ოსლოს ესტუმრნენ და ბოლოხანს ერთობ სუსტად მოთამაშე ნორვეგიის ნაკრებს გაეჯიბრნენ.

იაპონელები სკანდინავიას უძლიერესი შემადგენლობით ეწვივნენ, თუმცა მათ მთავარი კაცი მაინც აკლდათ. ნაკრების თავკაცი ფილიპ ტრუსიე იმ დღეს პარიზში იყო, რის გამოც „ამომავალი მზის“ შვილები სათამაშოდ მეორე მწვრთნელმა დამოძღვრა. თუმცა აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ ფილიპ ტრუსიეს ერთობ საპატიო მიზეზი ჰქონდა — ორიოდ დღის წინ ავტოკატასტროფაში ძმისშვილი დაეღუპა...

სტუმრები პირველ ტაიმში კი გაუძალიანდნენ მასპინძლებს, მაგრამ ნორვეგიელთა უპირატესობა მაინც იგრძნობოდა. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს კავაგუჩის კართან, თუმცა უპასუხოდ არც იაპონელები დარჩენილან. საბოლოოდ მეტოქეებმა პირველ 45 წუთში გოლის გატანა ვერ მოახერხეს და შესვენებაზე „მშრალად“ გავიდნენ.

სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა, თუმცა 73-ე წუთზე ბლექბერნელმა ჰენინგ ბერგმა ძლიერი თავურით კავაგუჩის კარი დალაშქრა. ამ გოლს ოთხ წუთში სიგარდ რუშფელდტის შედეგიანი გასროლილიც მოჰყვა და იაპონელები საბოლოოდ გატყდნენ. შეხვედრას წერტილი დიდმეგოლე ოლე გუნარ სოლსკიაერმა დაუსვა.

ამგვარად, ნორვეგიამ მოულოდნელად დიდი ანგარიშით, 3:0 სძლია მსოფლიოს ჩემპიონატის თანამასპინძელ იაპონიას და გუნებაც გვარიანად წაუხდინა.

**ბაბა შალამბერიძე**

### ეკვადორი

**ატლეტიკო (ესპანეთი) 2:1 ეკვადორი**

1:0 ნაგორე (10), 1:1 დე ლა კრუზი (38), 2:1 ხუან ლუკე (62)

ატლეტიკო: ტონი, ჰიბიჩი (ამაია 46), სანტი (ორტისი 76), ლ. კარერასი (ა. ლოპესი 46), ნაგორე (მუნიოსი 46), აგილერა (არმანდო 46), მოვილია (კოლსა 46), ი. სტანკოვიჩი (ხუან ლუკე 46), კარვალიო (რობერტო 46), დიეგო ალონსო (ფ. ტორესი 46), კორეა

ეკვადორი: სევალიოსი, პორასი, ურტადო, დე ლა კრუზი, ობრეგონი (ასენსიო 73), გუერონი (ე. აიოვი 36), კავიედესი, აგინაგა (მურბანო 73), კალა (ა. ფერნანდესი 63), ე. მენდესი, ე. ტენორიო (კ. ტენორიო 46)

გაძევება: კორეა (45)

20 000 მაყურებელი

## წაგებული მოსაგებები

**მსოფლიოს** ჩემპიონატზე პირველად მოხვედრილი ეკვადორი მადრიდში ამხანაგურად ეთამაშა პრიმერადივიზიონში დაბრუნებულ „ატლეტიკოს“ და 1:2 წააგო. მატჩი სამხრეთამერიკელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, ტრიბუნებზეც უმეტესად ეკვადორელი ქომაგები ისხდნენ, თუმცა მათმა გუნდმა ვერ მოახერხა იმის გაკეთება, რაც რამდენიმე დღით ადრე „მილანთან“ შეძლო.

ანგარიში მე-10 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. კუთხურის ჩაწოდების შემდეგ ნაგორემ თავით გაიტანა. ამას ეკვადორელთა შეტევები და 24-ე წუთზე მენდესის გაცუდებული დარტყმა მოჰყვა, 38-ე წუთზე კი ეკვადორელებით გადაჭედილი ტრიბუნების გასახარად ანგარიში გაათანაბრეს — საჯარიმოდან დე ლა კრუზმა შეაგდო.

ამას მალე მასპინძელი ფერნანდო კორეას გაძევება მოჰყვა. ასე რომ, მეორე ნახევარში სამხრეთამერიკელთა სათამაშო უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა. მარტო ივან კავიედესს სამჯერ შეეძლო ეხეირა, თუმცა გოლი „ატლეტიკომ“ გაიტანა — ხოსე ხუან ლუკემ 62-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით ეკვადორელებს მეორე და გამარჯვებისა შეუგდო. ამ გოლმა ორივე მხარე დაამშვიდა და მატჩის დამთავრებამდე გამოსარჩევი არარაფერი მომხდარა.

კორეა-იაპონიაში კი ეკვადორელები ასეთი შემადგენლობით მიდიან:

***მეკარეები:*** *ხოსე სევალიოსი (ბარსელონა), ჯოვანი იბარა (ელ ნასიონალი), დანიელ ვიტერი (ემელეკი);*

***მცველები:*** *ულისეს დე ლა კრუზი (ჰიბერნიანი, შოტლანდია), აუგუსტო პოროსო (ემელეკი), ივან ურტადო (ბარსელონა), ჯოვანი ესპინოზა (აუკასი), რაულ გუერონი (დეპორტივო კიტო), მარლონ აიოვი (დეპორტივო კიტო);*

***ნახევარმცველები:*** *ედვინ ტენორიო (ბარსელონა), ლუის გომესი (ბარსელონა), ალფონსო ობრეგონი (ლიგა დე კიტო), ედისონ მენდესი (დეპორტივო კიტო), კლებერ კალა (ელ ნასიონალი), ხუან კარლოს ბურბანო (ელ ნასიონალი), ალექს აგინაგა (ნეკაქსა, მექსიკა), ველინგტონ სანჩესი (ემელეკი), ვალტერ აიოვი (ემელეკი);*

***თავდამსხმელები:*** *კარლოს ტენორიო (ლიგა დე კიტო), ანხელ ფერნანდესი (ელ ნასიონალი), ივან კავიედესი (ბარსელონა), ნიკოლას ასკენსიო (ბარსელონა), აუგუსტინ დელგადო (საუთჰემპტონი, ინგლისი)*

**სერგი ძორიძე**



ატლეტიკოელთა პორტუგალიელი დანი კარვალიო (მარჯვნივ) და ეკვადორელი ალექს აგინაგა

REUTERS

## წითლები სირცხვილმა გააწითლა

### ბელგია

**ბელგია 0:0 ალჟირი**

ბელგია: დე ფლიგერი, დეფლანდრე (ვ. ჰეიტერსი 46), დე ბოეკი, ვან მეირი (ვან ბუიტენი 46), ვან დერ ჰეიდენი, სიმონსი (ვანდერჰეგე 46), ვილმოტსი (შტრუპარი 46), გოორი (ბოფინი 60), სონკი (ენგლებერტი 46), ვალემი (ვერმანტი 46), მ. მპენზა

ალჟირი: გაოუაოუ, მეზრიხი, ჰადუ, ზაფური, დერაუში, კრუში, მანსური (ჯაზირი 73), ტარიბი, ბელჯარბი, აკრური, საიფი (ბეზაზი 79)

მსაჯი: რენე როგალა (შვეიცარია)

**ბრიუსელში** გამართულმა ამხანაგურმა მატჩმა მასპინძლებს იმედები გაუცრუა. მუნდიალამდე ბოლო საკონტროლო შეხვედრაში ბელგიელებს მეტი ფხის და განსწავლულობის გამოჩენა მართებდათ.

ბენილუქსელ გულშემატკივრებს თამაშისას ლამის ჩაეძინათ, მატჩის შემდეგ კი მასპინძელთა დამრიგებელმა რობერ ვასეჟმა თავისი ფეხბურთელები გვარიანად დატუქსა: თუ მსოფლიოს პირველობაზეც ასე ვითამაშეთ, შინ შერცხვენილები დავბრუნდებით. მეტი სიხარტე უნდა შევიტანოთ თამაშშიო — თქვა მწვრთნელმა.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა ორი ყვითელი ბარათის გარდა ვერაფერს გამოჰკრეს ხელი. მეორე ნახევარიც დიდი ვერაფერი ბედენა იყო, ვასეჟმა ექვსი შეცვლა განახორციელა და ივ ვან დერ ჰააგემ 57-ე წუთზე ძელს გარტყმული ბურთითღა ანუგეშა დამრიგებელი. სტუმრებს კი, აბა, რა მოეთხოვებოდათ, ჩრდილოაფრიკული ქვეყანა ხომ, ბოლოხანია, თავის კონტინენტზეც საშუალოზე დაბალი კლასის გუნდად იქცა. მათ მხოლოდ ერთხელ, 36-ე წუთზე შეაწუხეს მასპინძლები და ოდნავ რომ გამართლებოდათ, იქნებ „წითელი ეშმაკები“ საშვილიშვილოდ შეერცხვინათ.



რობერ ვასეჟმა მოედანზე სახეირო ვერაფერი დაინახა

REUTERS

მოკლედ, ბელგიელებმა მუნდიალზეც ასე თუ ითამაშეს, ჯგუფში მასპინძელ იაპონელებთან და ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებთან ვერაფერს გახდებიან.

სამუნდიალო შემადგენლობას კი რობერ ვასეჟი ამ კვირაში დაასახელებს.

**ზურაბ რუხაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა–იაპონია 2002
## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 15 დღე



მარსელო ბიელსა

# არგენტინა ნიჭმა დააზნია
## სავიოლა, რიკილმე, სოლარი ახლა ბებრებმა გაიხარონ, ამათი დრო კიდევ მოვა

### არგენტინა

**მარსელო ბიელსას** დამოძღვრილი არგენტინის ნაკრები გრიალით რომ შენავარდდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, კარგად მოგეხსენებათ. იმასაც იმუქრებიან, კორეა-იაპონიაში მეტოქეებს მივლეწ-მოვლეწავთო. ისე, კაცმა რომ თქვას, არგენტინელების ფავორიტობის უარყოფას ვერც მათი დაუძინებელი მტრები, ბრაზილიელთა თავგადაკლული ფანებიც ბედავენ. ბიელსას ხომ ორი, თუ გაჭირდა სამი თანაბარძალოვანი შემადგენლობის შედგენა შეუძლია. ამ მხრივ ბიელსას ნამდვილად არ აქვს საფიქრალი, გაუჩროთა ქვეყანაში აბა, რა გამოლევს ნიჭიერ მობურთალს, მაგრამ თურმე ზედმეტი არც ტალანტი ვარგებულა.

ბიელსას პრობლემად სწორედ არგენტინელთა მოზღვავებული ნიჭიერება ქცეულა. რა ექნა? მიდი და გაარკვიე, ამდენ ვირტუოზში ოცდასამი საუკეთესო აირჩიე, თანაც ისეთები, ვინც მუნდიალს ნაღდად მოიგებენ. აქ კი, ვგონებთ, ბიელსა აშკარად დაიბნა. დაიბნა და წინასამუნდიალო შეკრებაზე თანმხლები ოცდასამი ფეხბურთელის სიით გვარიანად გააკვირვა საფეხბურთო სამყარო. როგორი საქმეა, მარსელო ბიელსა შემოსწყრა — „ბარსელონაში" ჩვიდმეტი ბურთის შემგდებ ხავიერ სავიოლას, „რეალის" ვარსკვლავ სანტიაგო სოლარის და „ბოკა ხუნიორსის" გამჭრიახ და დახვეწილ გამთამაშებელ ხუან რომან რიკელმეს, ესენი ბიელსას რჩეულთა ამალის მიღმა დარჩნენ. და ვინ ამჯობინა ყმაწვილებს გურუმ? გადაბერებული კლაუდიო კანიჯა და გაბრიელ ბატისტუტა.

არგენტინელები კორეა-იაპონიისთვის იტალიაში ემზადებიან. ბიელსას აპენინებზე ამჟამად ოცდაერთი ჯეელი ახლავს. მათ დიეგო პლასენტე ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ შეუერთდება, კრუზეიროელი ხუან პაბლო სორინიც მალე მოიცლის და სრული შემადგენლობა აზიისკენ მომავალ ოთხშაბათს გაფრინდება.

*მეკარეები:* ხერმან ბურგოსი (ატლეტიკო, ესპანეთი), პაბლო კავალიერო (სელტა, ესპანეთი), რობერტო ბონანო (ბარსელონა, ესპანეთი);

*მცველები:* ხოსე ანტონიო შამოტი (მილანი, იტალია), ვალტერ სამუელი (რომა, იტალია), რობერტო ფაბიან აიალა (ვალენსია, ესპანეთი), მაურისიო პოჩეტინიო (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), დიეგო პლასენტე (ლევერკუზენი, გერმანია), ხუან პაბლო სორინი (ლაციო, იტალია);

*ნახევარმცველები:* ხავიერ ძანეტი (ინტერი, იტალია), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), დიეგო პაბლო სიმეონე (ლაციო, იტალია), გუსტავო ლოპესი (სელტა ესპანეთი), კილი გონსალესი (ვალენსია, ესპანეთი), პაბლო აიმარი (ვალენსია, ესპანეთი), მატიას ალმეიდა (პარმა, იტალია), მარსელო გალიარდო (მონაკო, საფრანგეთი), კლაუდიო ხუსაინი (რივერ პლეიტი);

*თავდამსხმელები:* ერნან კრესპო (ლაციო, იტალია), კლაუდიო ლოპესი (ლაციო, იტალია), გაბრიელ ომარ ბატისტუტა (რომა, იტალია), არიელ ორტეგა (რივერ პლეიტი), კლაუდიო კანიჯა (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია)

**გიორგი გამარდაშვილი**







ხავიერ სავიოლას, ხუან რომან რიკელმეს და სანტიაგო სოლარის ძველი ავტორიტეტები დაუპირისპირეს



REUTERS ბარსელონიდან

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ რივალდოს მოძრაობა ასწავლა

# რა უხარია ზაგალოს?
## სკოლარიმ ერთი ტაიმი მოითმინა

### ბრაზილია

**ნაკრები** და ბრაზილიელი ხალხის „№1 მტერი" ლუიშ ფელიპე სკოლარი ბარსელონაში დაბანაკდნენ. პირველი ვარჯიში კი გუნდმა 45 წუთში ჩაამთავრა. მიზეზი? 23 სანაკრებო ფეხბურთელიდან მწვრთნელის თვალთახედვაში მხოლოდ ცამეტია. ამ თარსი რიცხვით არ დავითარსოთო და, სკოლარიმ მეცადინეობა მალე დაამთავრა. ისე, მარიო ზაგალომ ერთხელ თქვა, 13 კარგად მაქვს დაცდილი, ჩემი საყვარელი რიცხვიაო.

ბარსელონაში მყოფი ფეხბურთელებიდან ოთხი — რონალდო, კაფუ, ჟუნიორი და ემერსონი ადგილობრივ საავადმყოფოს ჩაბარდნენ სამკურნალოდ. გუნდის ექიმს, ჟოზე ლუიშ რუნკოს მოსვენება დაეკარგა: „დღეს ნაკრებში ყველაზე მეტად მე ვარ დატვირთული. ოთხნი მკურნალობენ, დანარჩენების ჯანიც უნდა შევამოწმო".

ამის გამგონე „№1 მტერი" გაწიწმატდა: „ჯერაც ვერ გამიგია, ვინ როგორ არის, ზოგი ცუდადაა, ზოგი არ ჩამოსულა. ექიმი მეუბნება, ყველა უნდა გავსინჯოთო, გამოდის, რომ ბარსელონაში მატყლის საწეწად ჩამოვედი."

მცველი ანდერსონ პოლგა და ფორვარდი ლუიზაო „გრემიოსთან" ერთად ლიბერტადორესის თასზე ურუგვაულ „ნასიონალს" გუშინ შეხვდნენ. მეკარე დიდა კი, ნახევარმცველ ვამპეტასთან ერთად, „კორინთიანსის" ღირსებას იცავს ბრაზილიის თასზე. ხოლო სად იყვნენ გუშინ რობერტო კარლოსი და ლუსიო, გეცოდინებათ.

„ეიცა, ხვალ ყველა აქ იქნება და კატალონიის ნაკრებს ამხანაგურად გავეჯიბრებით — თქვა სკოლარიმ — მაგრამ რაში მარგია ფეხბურთელები, დაღლილნი და უვარჯიშებლები?"

ბრაზილიელები ბარსელონიდან 25 მაისს აილაგმებიან და მალაიზიაში ჩაფრინდებიან, სადაც ბოლო მოსამზადებელ ეტაპს გაივლიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დედას გეფიცები!
## ხოსემ რადიო დააზოლა

### პარაგვაი

**ალბათ**, აპენინურმა ჰავამ ენის ქავილი იცის. აბა, რას უნდა დავაბრალოთ ის, რომ ხოსე ლუის ჩილავერტს ლაპარაკის სალერღელი აეშალა.

ჩეზარე მალდინიმ პარაგვაის ნაკრები თავის სამშობლოში დააბინავა, სადაც სამსოფლიოსჩემპიონატოდ ემზადება. მოგეხსენებათ, პარაგვაი ესპანეთის თანაჯგუფელია, ესპანელები კი იტალიისგან არცთუ შორს არიან. ალბათ, ჩილავერტსაც პირინეის ნახევარკუნძულის სიახლოვემ თავში ძველი ამბები აუწეწა. ვარჯიშისგან თავისუფალ დროს მეგოლე მეკარემ ლაქლაქით ლამის მსოფლიო შემოიარა.

ხოსე ლუისმა ჯერ საფრანგეთი, 1998 წელი გაიხსენა: „ესპანელებს კარგად ეხსომებათ, როგორ ჩავტოვეთ ჯგუფში ოთხი წლის წინ. ამჯერადაც იგივეს ვაპირებთ. სანტიაგო კანისარესს ვაფრთხილებ, ფხიზლად იყოს, ვფიცავ, ჯარიმიდან გავუტან. საერთოდ ჩვენ მოკრძალებულნი ვართ, მაგრამ ისე ვემზადებით, რომ შორს წასვლას ვაპირებთ. ესპანელები ზედმეტად თავდაჯერებულნი არიან. შესარჩევ ეტაპზე ისინი ხან ანდორას ეთამაშებიან, ხან ლიხტენშტაინს, ხანაც ბურკინა ფასოს (სალოლ, ხოსე!). მათ რომ სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში ითამაშონ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერასოდეს გავლენ". ეს დამუხტული მონოლოგი მჭევრმეტყველმა ჩილავერტმა იტალიურ რადიო „ნანდუტის" აჩუქა.

რადიოჟურნალისტმა იყნოსა მეკარის განწყობა და ზოგადსაკაცობრიო თემები „აუფეთქა". ჩილავერტსაც ეს უნდოდა და გააბა აჭიაბაჭია, „ლივერპული" მოაგონდა. ლივერპულელებმა, როგორც ცნობილია, კორეელებს პეტიციით მიმართეს, ძაღლები შეიბრალეთ, ნუ აწვალებთ და ოთხფეხების ხორცის ლეჭვისგან თავი შეიკავეთო. ხოსე ლუისი: „ვფიქრობ, რომ ინგლისელთა მიმართვა უსაფუძვლოა. კორეელებისთვის ეს ტრადიციაა და კულტურის ნაწილია. თვითონ ინგლისელები რატომ არ კრძალავენ საბრალო მელიების ჟლეტვას? ან ესპანეთში კორიდაზე ხარების უმოწყალოდ ხოცვა გამართლებულია?" ჩილავერტს ესპანეთი პროგრამიდან არ ამოუგდია და აქაც გადასწვდა.

პარაგვაელთა მეკარემ თავის დროზე, 1999 წელს, კოპა ამერიკაზე თამაშზე უარი თქვა. არადა, კოპა მის სამშობლოში გაიმართა. მან მთავრობას ფინანსური პოლიტიკა დაუწუნა. აქ დახარჯული ფული სკოლა-საავადმყოფოებისთვის მოგეხმარათ, უკეთესი იქნებოდაო.

ისიც გავიხსენოთ, რომ შარშან, ბრაზილიასთან მატჩის წინ, მეტოქეს მოუწოდა, მე-19 საუკუნეში მიწები რომ წაგვართვით, დაგვიბრუნეთო. მერე რობერტო კარლოსს შეაფურთხა, რაც სამმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა. ამიტომ მუნდიალზე პირველ შეხვედრას, სამხრეთ აფრიკასთან გამოტოვებს.

ხოსე არც თავისიანების გაქილიკებას მოერიდა, პარაგვაელები სულ ტყუილად აკრიტიკებენ ჩეზარე მალდინის, პარაგვაის მასმედია კი ჯერაც ქვის ხანაში ცხოვრობსო.

**ვაჟა ხუციშვილი**



ხოსე ლუის ჩილავერტმა ხარები დაიცვა და ძაღლები გაწირა

# ჯერარდს გაჭრიან. სტივ მაკმანამანს უკვე დაურეკეს

## ინგლისი

**გუშინდელ** „სარბიელში" გაუწყეთ, სტივენ ჯერარდი, ალბათ, კორეა-იაპონიაში ვერ წავაო, ახლა კი ორჭოფობა დასრულდა — კვირის ბოლოს ფეხბურთელს ოპერაციას გაუკეთებენ, სარეაბილიტაციო პერიოდი ექვს კვირას გასტანს და ჯერარდიც მუნდიალს მილმა დარჩება.

— გაწბილებული დავრჩი, მაგრამ ჯერ მხოლოდ 21 წლის ვარ და მჯერა, მომავალში აუცილებლად ვითამაშებ დიდ სანაკრებო ტურნირებში — ამითღა დაიმშვიდა თავი სტივენმა.

არადა, ლივერპულელი ნახევარმცველი ინგლისის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშეა და ალბიონელთა შვედ თავკაც სვენ გორან ერიკსონსაც ამ ფაქტმა, ბუნებრივია, თავსატეხი გაუჩინა.

ვინ შეცვლის საზარდულსაოპერაციო ჯერარდს? ამ საქმეს პირველ რიგში ნიკი ბათი უნდა დაეშუროს, რომელიც მტკივანი მუხლის მოშუშებითაა დაკავებული. ბათი მუნდიალზე ისედაც მიდის, მაგრამ საკითხავია, როგორი ჯანმრთელობით. ინგლისში ვარაუდობენ, თუ მან დროზე ვერ მოირჩინა მუხლი, ერიკსონი 4-4-2 სქემას 4-3-3-ით შეცვლისო — თავდამსხმელთაგან ნაკრებში ხომ ყველანი ჯანზე არიან.

შეგახსენებთ, ინგლისის ნაკრების კიდევ ერთი შუახაზელი კირონ დაიერიც ტრავმირებულია და თუ მისი გამოჯანმრთელება სამუნდიალოდ ვერ მოესწრო, ერიკსონი იძულებული იქნება, სარეზერვო ანუ „სთენდბაის" სიიდან იხმოს ტრევორ სინკლერი („ვესტ ჰემი").

კი მაგრამ, მაკმანამანი? მადრიდის „რეალის" ინგლისელ ნახევარმცველს გლაზგოში გუშინ, ზედ ლიგის ფინალის წინ მობილურ ტელეფონზე შეტყობინება დაუტოვეს — ინგლისის ნაკრებიდან მიბრძანებული ხარო. ამის შესახებ სვენ გორან ერიკსონმა ადრევე განაცხადა და მაკმანამანიც შეგუებული იყო, მაგრამ გუნდში ტრავმების მოზღვავებისთანავე იმედი მიეცა, თუმცა...

**დავით თავართქილაძე**



სტივ მაკმანამანისთვის სანაკრებო საათი გაჩერდა

## კორეა–იაპონია 2002
### მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 15 დღე

# ტურისტოლოგია
## ჩინეთი 100 000
## კამერუნი 2

**მსოფლიოს** მე-17 ჩემპიონატზე გუნდებთან ერთად, ცხადია, მათი ქომაგებიც მიემგზავრებიან. ზოგს იმდენი ხალხი მიყვება, თვლას ვერ აუხვალთ, ზოგის ქომაგთა დასათვლელად კი ერთი ხელის თითებიც ზედმეტია.

ასე მაგალითად, თითოეულ ბრაზილიელს აზიაში გასამგზავრებლად 10 000 დოლარი მაინც დასჭირდება, რაც დიდძალი თანხაა სამხრეთამერიკელთათვის. ვარაუდობენ, რომ რიოდან 18 000 კილომეტრის დაშორებით მდებარე სეულში მხოლოდ ათასი სამბას მოყვარული ჩავა.

ბევრი ფანი არც არგენტინელებს ეყოლებათ. ამ ქვეყანაში მძვინვარე ეკონომიკურმა კრიზისმა ხომ ბევრი მდიდარი მოქალაქე გაალატაკა. მსოფლიოს ჩემპიონატზე არცთუ დიდი წარმომადგენლობა ეყოლება ეკვადორს, ურუგვაისა და პარაგვაისც.

სამაგიეროდ, მომავალი ჩემპიონატი თამამად შეიძლება ჩავთვალოთ ჩინურად. კორეაში, სადაც ჩინეთის ნაკრები თამაშობს, 100 000-მდე ჩინელს ელიან. ჩინეთის სპორტის სამინისტროს განცხადებით, ჯგუფური ეტაპის მატჩებზე დასწრება იქაურებს 7 ათასი იენი (845 დოლარი) დაუჯდებათ. ჩინეთში კი უკვე 10 500 ბილეთი გაიყიდა. ცნობისთვის, ჩინელის საშუალო წლიური ხელფასი 758 დოლარია.

აღსანიშნავია, რომ ჩინელებს გემით ან თვითმფრინავით მოუწევთ კორეაში გამგზავრება, რადგან სამანქანო გზა კომუნისტურ ჩრდილო კორეაზე გადის. მთელი მსოფლიოსგან ჩაკეტილ ქვეყანას კი თავის ტერიტორიაზე ათიათასობით უცხოელის შესვლა არ ეპიტნავება.

რუსები 1 500 ფანის გამგზავრებას ფიქრობენ. ამ სიამოვნების ფასი 2 500 დოლარია. ხორვატია, დანია, შვედეთი და ირლანდია კორეა-იაპონიაში რამდენიმე ათასი გულშემატკივრის ჩაყვანას აპირებენ.

მსოფლიოს ჩემპიონატზე არც ესპანეთის დელეგაცია იქნება შთამბეჭდავი. ესპანელები საზოგადოდ სანაკრებო ფეხბურთს საკლუბოს ამჯობინებენ.

სხვაგვარადაა საქმე ინგლისში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის ცოცხლად ნახვის დიდი სურვილი ბარე ნახევარ ქვეყანას აქვს. ალბიონიდან ათი ათასობით ფანი აპირებს აზიაში გამგზავრებას, თუმცა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ცნობით, უშუალოდ მატჩებს 6000-8000-მდე გულშემატკივარი დაესწრება. ამის გარდა, კორეა-იაპონიის პოლიციას ინგლისელთაგან 1800 ხულიგანი ფანის მონაცემები გადაეცა, ეს ის ხალხია, ვისი მოხვედრაც მსოფლიოს ჩემპიონატზე არასასურველია.



ეს მუნდიალი ჩინეთისა იქნება

ინგლისელ ფანთა უმეტესობა კორეა-იაპონიაში საჰაერო გზით მოხვდება, თუმც ზოგი რამდენიმე თვეა, გაუდგა გზას. მაგალითად, ვინმე გარი ფლინი, ტომ რობერთსი და მარტინ ბრინი კორეა-იაპონიაში ჯერ კიდევ წინა სექტემბერში წავიდნენ მანქანით, სხვათა შორის, მაშინ, როდესაც თავად ინგლისის ნაკრების წასვლა-არწასვლის ამბავი გაურკვეველი იყო.

ამ ტრიომ თავის მოგზაურობას „დენის ბერხკამპის" გზა უწოდა, მოგეხსენებათ, ჰოლანდიელს ფრენის ეშინია.

მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრები 3 000 ბილეთი გაიყიდა გერმანიაში. აქ გამგზავრება 4 395 ევრო ღირს, პლუს 75 ევრო, ჯგუფურ ეტაპზე დასასწრები ბილეთის ფასი. გარდა ამისა, მიაზაკიში, გერმანიის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე მოხვედრის მსურველ გერმანელს დამატებით მოუწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა.

აფრიკელთაგან ყველაზე მდიდრები, სამხრეთაფრიკელები ტურნირზე უფრო მეტი ქომაგის გაგზავნას აპირებენ, ვიდრე საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰყავდათ. თუმც მათგან ფეხბურთის ფანი არცთუ ბევრი იქნება. მეტწილად ბიზნესმენები გეგმავენ იაპონიაში გამგზავრებას საქმეების მოსაგვარებლად. „ბაფანა-ბაფანას" ერთგულმა ფანებმა კი, სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის ინფორმაციით, ჯერჯერობით 200 ბილეთი ძლივს იყიდეს.

ნიგერია, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ღატაკია, ცდილობს, ბილეთები ევროპასა და ამერიკაში მცხოვრებ თანამემამულეებზე გაასაღოს. ადგილობრივი ფეხბურთის მაღალჩინოსნების თქმით, საქმე წინ მიდის.

გაცილებით ცუდად აქვთ საქმე კამერუნელებს. „მოუთვინიერებელ ლომებს" 20 თანამემამულე თუ უქომაგებს — ესეც უკეთეს შემთხვევაში, ბილეთის სიძვირემ, ჯერ მხოლოდ ორ კამერუნელს გააბედინა სამუნდიალო ბილეთის ყიდვა.

**სერგი ტორიძე**

# დაინომრეს

## იტალია

გუშინ იტალიის ნაკრები დაინომრა, რაც მთლად უმტკივნეულო პროცესი არ გამოდგა. ასე მაგალითად, მე-20 ნომრისთვის ვინჩენცო მონტელა, კრისტიან ვიერი და ფილიპო ინძაგი იბრძოდნენ. აქედან რაც გამოვიდა, ქვემოთ იხილეთ:

**მეკარეები:**
1 ---------- ჯანლუიჯი ბუფონი
12 ---------- კრისტიან აბიატი
22 ---------- ფრანჩესკო ტოლდო

**მცველები:**
2 ---------- კრისტიან პანუჩი
3 ---------- პაოლო მალდინი
5 ---------- ფაბიო კანავარო
13 ---------- ალესანდრო ნესტა
15 ---------- მარკ იულიანო
23 ---------- მარკო მატერაცი

**ნახევარმცველები:**
4 ---------- ფრანჩესკო კოკო
6 ---------- კრისტიანოძანეტი
8 ---------- ჯენარო გატუზო
10 ---------- ფრანჩესკო ტოტი
11 ---------- კრისტიანო დონი
14 ---------- ლუიჯი დი ბიაჯო
16 ---------- ანჯელო დი ლივიო
17 ---------- დამიანო ტომაზი
19 ---------- ჯანლუკა ძამბროტა

**თავდამსხმელები:**
7 ---------- ალესანდრო დელ პიერო
9 ---------- ფილიპო ინძაგი
18 ---------- მარკო დელვეკიო
20 ---------- ვინჩენცო მონტელა
21 ---------- კრისტიან ვიერი



REUTERS

იტალიელები შეიმოსენ, ვინ ვინ არის, ნომრების მიხედვით გამოიცანით

## დანია

**მეკარეები:** თომას სორენსენი (სანდერლენდი, ინგლისი), პეტერ კიაერი (აბერდინი, შოტლანდია), იესპერ კრისტიანსენი (ვაილე);

**მცველები:** იან ჰაინცე (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), რენე ჰენრიკსენი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ნიკლას იენსენი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), თომას ჰელვეგი (მილანი, იტალია), მარტინ ლაურსენი (მილანი, იტალია), კასპერ ბოგელუნდი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), სტივენ ლუსტუ (ლინი, ნორვეგია);

**ნახევარმცველები:** კრისტიან პოულსენი (კოპენჰაგენი), თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ჩარლტონი, ინგლისი), ბრაიან-სტენ ნილსენი (მალმიო, შვედეთი), სტივ ტოფტინგი (ბოლტონი, ინგლისი);

**თავდამსხმელები:** იან მიკაელსენი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), იესპერ გრონკიაერი (ჩელსი, ინგლისი), დენის რომედალი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ებე სანდი (შალკე, გერმანია), მარტინ იორგენსენი (უდინეზე იტალია), პიტერ ლოვენკრანდსი (რეინჯერსი, შოტლანდია), პიტერ მადსენი (ბრონდბიუ)

# თქვენი საშვი, მუსიე!

## ზიზუს „სტად დე ფრანსის“ კარი მიუხურეს

### მეჯიქ ჯონსონმა მეჯიქ ზიდანს მადრიდში ჩააკითხა



*ზინედინ ზიდანს საგანგებო წარდგენა რომ არ სჭირდება, ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ ბევრჯერ მოგვიხდება თქმა. თუმცა ერთიცაა, კაცი თუ კარგად მოინდომებს, უცნობ და საინტერესო ამბავს, ალბათ, მაინც აღმოაჩენს. მაგალითად, ზიდანს „სტად დე ფრანსზე“ უსაშვოდ არ უშვებდნენ...*

*ამ ინტერვიუს კი ერთი ავტორი არ ჰყავს, ზიდანისადმი გულშემატკივრების მიერ გაგზავნილი კითხვებით არის მომზადებული*

**— ამხანაგური მატჩებით დავიწყოთ: ასეთი შეხვედრები, გასაგებია, რომ ოფიციალურებისგან ძლიერ განსხვავდება, მაგრამ ალბათ, მაინც იძლევა ნიადაგს ჭკუის სასწავლად. თან, გარედან ისე ჩანს, რომ ლემერი ყოველი ამხანაგური მატჩის შემდეგ ცოტა შეშფოთებულია.**

— მართლაც, არ არსებობს თამაში, განსაკუთრებით საფრანგეთის ნაკრების მონაწილეობით, გაკვეთილად რომ არ გამოდგეს. ჩვენ, ნაკრების წევრებს ყოველი თავმოყრა ძალიან გვიხარია და საქმესაც გულით ვუდგებით, რაც ტრიბუნიდან კარგად უნდა ჩანდეს. ამასთან, განსაკუთრებულ გარემოს გულშემატკივრები გვიქმნიან.

**— მაგრამ, განა შეიძლება ამხანაგურ თამაშებს მთელი სერიოზულობით მოეკიდოს კაცი?**

— იცით, როდესაც ყოველ სამ დღეში ერთხელ თამაშობ, შემდეგ, დაღლილი მიდიხარ ნაკრებში და დიდი ხნის უნახავ მეგობრებს ხვდები, მართლაც გექმნება განწყობა. თითქოს შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღო, ამხანაგურია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იმავდროულად იცი, რომ იმ მატჩში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადები. ერთი სიტყვით, ამხანაგურ თამაშს სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა არასდროს აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენს სანახავად მოსული ხალხის თვალწინ, შენს მეგობრებთან ერთად მორიგ წარმატებას არ უნდა მიაღწიო. ბოლოს და ბოლოს, ჩვენთვის მნიშვნელობა მხოლოდ ერთ რამეს აქვს: როცა თამაშობ, უნდა მოიგო.

**— და ამხანაგურებში ოფიციალურ შეხვედრებზე მეტად არ უფრთხილდებით თავს?**

— ცუდად ნურავინ გამიგებს და, ფაქტია, ამხანაგური მატჩის დროს ყველაფერს სამსხვერპლოზე ვერ დადებ.

**— ისე, ამას, ალბათ, დადებითი მხარეც აქვს. ალბათ, ამ დროს უფრო ერთობით და ლაღობთ.**

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ლაღობა ყოველთვის არ გამოდის, მაგალითად, უხარისხო მინდორზე, ცუდ მოედანზე და ცუდ ამინდში თამაში არავის უყვარს, განსაკუთრებით ტექნიკურ ფეხბურთელებს.

**— რა მაგის პასუხია და, ამბობენ, „სტად დე ფრანსზე“ მისულს ერთხელ საშვი მოგთხოვესო.**

— იყო ასეთი შემთხვევაც, მაგრამ, შემდეგ რაღაც საშვები გამოგვიწერეს და პრობლემა აღარ გვქონია.

**— „სტად დე ფრანსზე“ ხშირად თამაშობთ და იქაურ გარემოს დაჩვეული ხართ. ამის გამო სტუმრად ან უბრალოდ სხვა მოედანზე თამაში ხომ არ გიჭირთ?**

— ამაზე ლაპარაკი სირცხვილია. როდესაც მიზანი გაქვს, ჩვენი მიზანი კი მსოფლიოს ჩემპიონობა, ისტორიაში შესვლა და ახალი სიმაღლეების დაპყრობაა, ასეთი თემა არც უნდა განიხილებოდეს.

**— მსოფლიოს ჩემპიონატს საფრანგეთის ნაკრები ხსნის. თქვენ სენეგალს ეთამაშებით. აკვირდებოდით ამ გუნდის გამოსვლას აფრიკის თასზე?**

— ყველა ცნობას ვკითხულობდი და ანგარიშებს ვიგებდი. ამ გუნდს მსოფლიოზე, კერძოდ კი ჩვენთან შეხვედრაში დასაკარგი არაფერი ექნება, მაშინ, როდესაც ჩვენ ბევრის დაკარგვა შეგვიძლია. ამიტომაც პირველსავე შეხვედრაში სიფრთხილე გვმართებს. კარგი სტარტი მნიშვნელოვანი იქნება.

**— საფრანგეთი ფავორიტი იქნება?**

— განა ეს გასაკვირია?

**— რა სჯობს, როდესაც თამაშობ და გამარჯვებაში ეჭვი არ გეპარება თუ როდესაც ეჭვი გაქვს და ამიტომ უფრო მობილიზებული ხარ?**

— ამაზე არასდროს მიფიქრია. ალბათ, არც ერთი ვარგა და არც მეორე. მოედანზე ხომ ყველა თამაში განსხვავებულია, ამიტომაც შენი ამოცანა იმ დღეს, კონკრეტული მატჩისთვის კონკრეტულად მომზადება უნდა იყოს. თუ საუკეთესო თამაშს აჩვენებ, სანანებლად არაფერი დაგრჩება.

**— საფრანგეთის ნაკრებს, ალბათ, ახალწვეულებიც ეყოლება, ანუ ისინი, ვინც არც მსოფლიოს ჩემპიონია და არც ევროპის. როგორ ფიქრობთ, ეს ხალხი გუნდს შეერწყმება?**

— ვერ გეტყვით.

**— თქვენს თამაშებს ვიდეოთი თუ უცქერთ? აანალიზებთ შეცდომებსა და დადებით მხარეებს?**

— არ მიყვარს იმ მატჩების ცქერა, რომელშიც მე ვმონაწილეობდი. საკუთარი თავის სანახავად ვიდეოს არასდროს ვრთავ ტელევიზიით კი ზიდანს ხანდახან მოვკრავ ხოლმე თვალს.

**— ეს იგი, ტელეეკრანთან ჯდომისას არ ამბობთ: „აი, ეს რა კარგად გააკეთე“–**

— არასდროს. პირიქით კიდევ შეიძლება ვთქვა, მაგრამ ასე არა.

**— ბევრი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიგიჩნევთ. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

— დღეს მსოფლიოში არ არის ერთი ფეხბურთელი სხვათაგან მნიშვნელოვნად რომ გამოირჩეოდეს. ადრე, ვთქვათ, მარადონას დროს ამის თქმა შეიძლებოდა, დღეს კი არა.

**— ანუ დღეს განსაკუთრებული ფეხბურთელი ბევრი არ არის?**

— მე შემიძლია დაგისახელოთ დაახლოებით ოცი უმაღლესი დონის მოთამაშე. ისინი თანაბარ სიმაღლეზე დგანან და ჩემს თავს მათ ვერ ვამჯობინებ.

**— სხვათა შორის, თქვენ, საგოლე სიტუაციებში კარში დარტყმას პასის გადაწოდებას ამჯობინებთ...**

— თუ უშუალოდ კარის წინ ვარ, ვურტყამ, თუმცაის, რომ პასის გადაწოდებისკენ უფრო ვარ მიდრეკილი, გეთანხმებით.

**— გოლები რაიმე სქემის მიხედვით გაგაქვთ თუ ეს სპონტანურად, სიტუაციის მიხედვით ხდება?**

— სიტუაციის მიხედვით, წინასწარ, მიზნად გოლის გატანას არ ვისახავ. იტალიაში ერთხანს ვცადე მემოქმედა პრინციპით — „მოატყუე მეტოქე და შენ თვითონ მიდი“ — მაგრამ მაინცდამაინც არ გაამართლა და ამ სქემას აღარასდროს მივმართავ.

**— კეთილი, ეს იყო იტალიაში. დღეს ესპანეთში ხართ. როგორ შეეჩვიეთ მადრიდს?**

— თავიდან, ყველა ჩემზე რომ ლაპარაკობდა, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ხალხს ნელ-ნელა ჩემი სახის ყოველდღე და ყველგან დანახვა მობეზრდა და დავწყნარდი. ფიგუც მეუბნებოდა, ნუ გეშინია, აჟიოტაჟი ჩაცხრება, მეც იგივე გადამხდა და ვიციო.

**— ესპანურ პრესას კითხულობთ თუ ზედაც არ უყურებთ?**

— ამისთვის ელემენტარულად ესპანური უნდა იცოდე კარგად. მე ასე ვერ ვფლობ ესპანურს. მართალია, საყოფაცხოვრებო დონეზე პრობლემა არ მაქვს, მაგრამ გაზეთების კითხვას მეტი სჭირდება. ისე, ერთი-ორჯერ გადავხედე იქაურ მედიას, ჩემზე აბსურდებს ხომ არ წერენ-მეთქი.

**— ესპანურ და იტალიურ პრესას როგორ შეადარებდით?**

— ბევრით ჰგავს ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს, ყოველდღიურ გაზეთებს ყველგან ერთი და იგივე ამოცანა უდგათ, ცარიელი გვერდები რაიმე ცნობებით უნდა შეავსონ.

**— თქვენი დღე მადრიდში. იქნებ აგვიღწეროთ?**

— ადრე ვიღვიძებ და სავარჯიშოდ მივდივარ. პირველ-ორ საათზე ვსაუზმობ, შემდეგ პირად საქმეებს ვაგვარებ. ხუთზე ხანდახან ბავშვები გამომყავს და სახლში ვბრუნდები. საღამოს შინ ვარ. ერთი სიტყვით, განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყვით. ბავშვებს ძირითადად მეუღლე უვლის და დასდევს, თუმცა, როცა დრო მაქვს ვცვლი. თამაშების გამო კვირაში სამ-ოთხ დღეს სხვაგან ვატარებ, ამიტომაც დანარჩენ დღეებში ვცდილობ ოჯახს გვერდიდან არ მოვცილდე. ვერ ვიტყვი, რომ ბუნებით შინ ჯდომის მოყვარული ვარ, მაგრამ თუ საშუალება მაქვს, არსად გავდივარ.

**— მადრიდის დათვალიერებას, ვთქვათ, მუზეუმებში შესვლას ასწრებთ?**

— ვერა. ორჯერ თუ სამჯერ რესტორანში ვიყავი, მეგობრებთან ერთად ცოტა დავლიე და ეს იყო.

**— „რეალში“ ვინმე მოქეიფე თამაშობს?**

— არ ვიცი. ერთხელ, შობის წინა დღეებში გუნდმა ვიქეიფეთ და კარგი დრო გავატარეთ. სხვას ვერაფერს გეტყვით.

**— რომელიმე თანაგუნდელს თუ ხვდებით ხოლმე სამუშაო საათების შემდეგ?**

— ყოველ კვირაში ოთხ დღეს ისედაც ერთმანეთს ვუყურებთ და... საკუთარი ოჯახები და ფეხბურთთან დაუკავშირებელი ადამიანებიც ხომ უნდა ვნახოთ.

**— ისე, ფეხბურთი სპეციფიკური საქმეა. უპირატესად მამაკაცურ გარემოში გიწევთ ტრიალი.**

— ყოველთვის ასე იყო. აბა, წარმოიდგინეთ, თამაშის წინ მასაჟისტი ქალები რომ მოდიოდნენ... არ შეიძლება. როგორ განიცდიან ზედმეტად მამაკაცურ გარემოს ჩემი უცოლო თანაგუნდელები ვერ გეტყვით, მაგრამ მე მგონი ასეც უნდა იყოს.

**— „იუვენტუსიდან“ წასვლის შემდეგ რა შეიცვალა?**

— გარემო. ვიცი, რომ ეს საუბარი ბევრ ქვეყანაში გამოქვეყნდება, ამიტომ რაღაცეებს არ ვიტყვი, რადგან ხშირად არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებენ ხოლმე. მაგალითად, მე რომ ვამბობ ტურინში მადრიდზე მეტად ცივა, წერენ თითქოს ტურინს მოლუშული და მოსაწყენი ქალაქი ვუწოდე. იმას კი ვიტყვი, რომ ტურინში გატარებული ხუთი წლის შემდეგ სხვა აურაში, სხვა განათებაში მოვხვდი.

**— ესპანეთში ცნობილი ხალხი თუ გაიცანით?**

— სამწუხაროდ, ეს ბედნიერება არ მხვდომია.

**— არავინ? ვთქვათ შოუბიზნესის ან, თუნდაც, ფეხბურთის სამყაროდან.**

— ფეხბურთის სამყაროდან როგორ არა.

**— მაგალითად?**

— რივალდო.

**— კი მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ თქვენი თამაშის სანახავად მეჯიქ ჯონსონი იყო მოსული.**

— ეს ჩინებული განცდაა, ძალიან მოქმედებს და ცდილობ უკეთ და უკეთ ითამაშო.

**— კარიერას კი ოდესმე, ალბათ, მარსელში დაამთავრებთ, არა?**

— მეეჭვება. „რეალში“ კონტრაქტის თანახმად 34 წლამდე უნდა ვიყო და, ალბათ, პროფესიულ კარიერასაც იქ დავუსვამ წერტილს.

**— საფრანგეთის პირველობაზე ვის ქომაგობთ?**

— „მარსელს“. მის საგულშემატკივროდ ხშირად ჩავსულვართ, თუმცა ეს გასაკვირიც არ არის, მარსელი ხომ ჩემი მშობლიური ქალაქია და ადამიანად იქ ჩამოვყალიბდი. კიდევ, „ბორდოს“ ქომაგი ვარ. ამ გუნდში ოთხი წელიწადი გავატარე, ამ ქალაქში დავქორწინდი და პირველი შვილიც იქ მეყოლა.

**თარგმნა ბაბუნა ძიძიაშ**







# ალესანდრო ნესტა: ვიცი, რომ „ინტერში" მივდივარ, მაგრამ არ გეტყვით

**იტალიური** ფეხბურთის ვარსკვლავი, ალესანდრო ნესტა „სკუადრა აძურას" ბანაკში, კოვერჩანოში ისვენებდა და აცხადებდა: „ვიცი, სადაც ვითამაშებ მომავალი სეზონიდან". ეს ერთი-ორი დღის ამბავია, გუშინ კი გამოცხადდა, რომ ნესტა „ინტერთან" გვარიან კონტრაქტს აფორმებს, თუმცა დეტალებზე არავის არაფერი უთქვამს. თურმე თავად ნესტას მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე დუმილი ურჩევნია.

ამასობაში კი „ინტერის" პრეზიდენტის, მასიმო მორატის წარმომადგენლები „ლაციოს" პრეზიდენტის, სერჯო კრანიოტის წარმომადგენლებს დეტალებზე ურიგდებიან. როგორც ჩანს, ლაპარაკი დაახლოებით 60 მილიონი ევროს ფარგლებშია, ოღონდ „ინტერს" სურს, რომ მთელი თანხა ფულად არ გადაიხადოს და ნაწილი ნატურით, კერძოდ კი მცველის, მარკო მატერაცის სახით გაილოს.

ამ წუთას, იტალიური ბაზრის ყველაზე ხელგაშლილი მონაწილე სწორედ „ინტერია". მან „ატალანტასგან" უკვე იყიდა ნახევარმცველი ლუჩანო ძაული, ხოლო „კიევოსგან" ასევე ნახევარმცველი სიმონე პეროტა.

**ბაჩუნა ძიძია**

# რონალდოს მშიერი ბუნტი



რონალდომ (შუაში) ვიერის და რეკობას ხელფასი დაუთვალა

**იტალიაში** ჭორი აგორდა, თითქოს რონალდომ და „ინტერმა" ხელფასის გამო ერთმანეთს კოპები შეუკრეს და ბრაზილიელი წასვლას ფიქრობსო. ჭორი კი რონალდოს შტაბის ერთ-ერთ წევრს რეინალდუ პიტას აუგორებია, რომელსაც ბრაზილიური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში უთქვამს, ფორვარდი უკმაყოფილოა, კრისტიან ვიერისა და ალვარო რეკობაზე ნაკლებს რატომ მიხდიანო.

ამაზე „ინტერის" ოფიციალურ საინტერნეტო გვერდში კომენტარი გაჩნდა, სადაც პიტას განცხადებას გამაოგნებელს უწოდებენ. „ინტერი" აცხადებს, რომ კლუბსა და ფეხბურთელს შორის არანაირი გაუგებრობა არ არსებობს.

წამყვანი იტალიური სპორტული გაზეთის, „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ვიერის ხელფასი სეზონში 9,07 მილიონი დოლარია, რეკობასი ამდენი არ არის, მაგრამ რვა მილიონს აღემატება, ხოლო რონალდო მხოლოდ 6 მილიონს იღებს.

# იყიდე, გაყიდე, სწორედ ქარვასლაა!



ნიკოლა ანელკა ფრედერიკ კანოთი შეაშინეს

**ნიკოლა ანელკა** „ლივერპულთან" ხუთწლიან კონტრაქტს დაყაბულდა, ხოლო ინგლისური გაზეთის, „ინდეპენდიენტის" ცნობით, ლივერპულელთა ნდომის საგანი ანელკას თანამემამულე, „ვესტ ჰემის" წევრი ფრედერიკ კანოც გახლავთ და საბოლოოდ, მათგან ერთ-ერთს იყიდის.

ფრანგებისადმი „ლივერპულის" ინტერესი, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ გუნდს ჟერარ ულიე უდგას სათავეში. სწორედ ულიეს განუცხადებია, მზად ვართ, „ვესტ ჰემს" კანოში 9,5 მილიონი გირვანქა გადავუხადოთო, ანელკასთან დაკავშირებით კი უკვე ყველაფერი ნათელია: თავდამსხმელის აგენტმა 2004 წლამდე, კვირაში 35 ათასი გირვანქიანი გასამრჯელოს პირობით მას კონტრაქტი მოუწონა.

არადა, თავიდან მთლად ასე მარტივად არ იყო საქმე. კერძოდ, ანელკას თავისი წილი პრეტენზიები ჰქონდა — იმაზე ორჯერ მეტს ითხოვდა, რასაც საბოლოოდ დათანხმდა, მაგრამ როგორც კი ულიემ კანოზე ჩამოაგდო სიტყვა და აგრძნობინა, რომ მას ალტერნატივა ჰყავს, თავნება იშკილებიდან ჩამოვარდა.

ერთი სიტყვით, ეს სავაჭრო კომბინაცია ახლა „ვესტ ჰემის" მადაზეა დამოკიდებული. თუ ლონდონელები დაიჩემებენ, რომ „ლიონის" ყოფილი თავდამსხმელი 15 მილიონზე ნაკლებად არ გაიყიდება, ულიე ადგება და ანელკას შეიძენს.

მოგეხსენებათ, ლივერპულელებს ანელკა „პარი სენ ჟერმენიდან" იჯარით ჰყავთ აყვანილი და ფრანგები მის სანაცვლოდ 12 მილიონ გირვანქას ითხოვენ.

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ჩელსი" ესპანური „რეალის" კამერუნელ მცველ ჯერემი იჯიტაპით დაინტერესდა და მადრიდულ კლუბთან მოლაპარაკებას ამ დღეებში დაიწყებს. „ასეთი ფეხბურთელით ჩვენ დიდი წარმატებას მივაღწევთ" — განაცხადა „არისტოკრატთა" იტალიელმა დამრიგებელმა კლაუდიო რანიერიმ. მიმდინარე სეზონში 23 წლის ჯერემიმ „სამეფო კლუბში" სულ რვა მატჩი ჩაატარა, სამაგიეროდ დიდი წვლილი შეიტანა აფრიკის ეროვნებათა თასზე კამერუნის ნაკრების გამარჯვებაში.

**საფრანგეთის თასის ფინალისტ „ბასტიას" მწვრთნელ რობერ ნუზარეს კლუბის ხელმძღვანელობამ ფინალში „ლორიანთან" 0:1 მარცხი აპატია და კონტრაქტი გაუხანგძლივა.**

**ესპანეთის** ჩემპიონი „ვალენსია" იტალიური „ბრეშას" ვარსკვლავით, 35 წლის რობერტო ბაჯოთი დაინტერესდა, რომელსაც იტალიური „კიევო" და თურქული „გალათასარაიც" ეპატიჟებიან. თვითონ ფეხბურთელს კი, მას შემდეგ რაც იტალიის ნაკრებში არ მიიწვიეს, ჯერ ვერ გადაუწყვეტია, გააგრძელოს თუ არა საფეხბურთო კარიერა.

**ჩეხეთის ნაკრებისა და იტალიური „ლაციოს" შემტევ ნახევარმცველ კარელ პობორსკის მშობლიურ „სპარტაში" გადასვლა გადაუწყვეტია. „რამდენიმე გერმანული კლუბი დამიკავშირდა, მე კი კარიერის დასრულება სამშობლოში მსურს" — განაცხადა 30 წლის პობორსკიმ. ამასთანავე „სპარტა" ევრო 96-ის მონაწილე კიდევ ორი ჩეხი ფეხბურთელის დამატებას აპირებს, ესენი გერმანულ „შალკეში" მოთამაშე ირჟი ნემეცი და იაბლონეცელი პეტრ კოუბა არიან.**

**შოტლანდიური** „გლაზგო რეინჯერსი" 4 მილიონ გირვანქად „ბარსელონას" ფრანგი მეკარე რიშარ დუტრუელისა და „მაინცის" ახალგაზრდა ნახევარმცველ მანუელ ფრიდრიხის შეძენას აპირებს. დუტრუელით ასევე ფრანგული „რენია" დაინტერესებული, თუმცა თავად მეკარე შოტლანდიაში გადასვლას ამჯობინებს. ფრიდრიხს კი „რეინჯერსის" გარდა ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" და გერმანული „დორტმუნდი" აკვირდებიან. შოტლანდიურ კლუბს ხუთ მილიონ გირვანქად ნახევარმცველ მიკელ არტეტის შეძენაც სურს.

**სლოვაკი ფეხბურთელი ლუბომირ მორავჩიკი იაპონურ „იუნაიტედ იჩიხარაში" გადასვლას აპირებს. „იგი კარგი ფეხბურთელია და მჯერა, გუნდს მალე მოერგება" — განაცხადა იაპონური კლუბის დამრიგებელმა იოზეფ ვენგლოშმა. 30 წლის ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში 78-ჯერ უთამაშია და 1998 წლიდან შოტლანდიურ „სელტიკშია". იაპონური „იჩიხარა" მორავჩიკით ბოსნიელი ედინ მუიჩინის წასვლის შემდეგ დაინტერესდა. ვენგლოშის თქმით, კლუბი სლოვაკ ფეხბურთელს ერთი წლით დაიტოვებს და თუ მოეწონა, კონტრაქტს გაუგრძელებს.**

**ესპანური** „მალაგას" არგენტინელი თავდამსხმელი არიელ ზარატე კლუბის დატოვებას მომავალ თვეში, კონტრაქტის ამოწურვისთანავე აპირებს. 28 წლის ზარატე ამ სეზონში „მალაგას" შემადგენლობაში სულ 12-ჯერ გამოჩნდა და 2 გოლი გაიტანა.

**არგენტინული „ესტუდიანტესის" მოთამაშე ხუან რამონ ფერნანდესი ახალი სეზონიდან ბუნდესლიგის ჩემპიონ „დორტმუნდში" ითამაშებს. გერმანულმა კლუბმა 22 წლის არგენტინელთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და „ესტუდიანტესს" 2 მილიონი დოლარი გადაუხადა.**

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

*მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოებამ დაჩრდილა, თორემ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი დიდად საინტერესო და მნიშვნელოვანი შეჯიბრი რომ არის, მტკიცება არ უნდა. ბოლოს და ბოლოს, აქ ხომ მომავალი ვარსკვლავები იზრდებიან. ბევრიც უკვე ვარსკვლავია — ჩეხებს ტომაშ როსიცკი ჰყოლებათ, ინგლისელებს ჯერმენ დეფო და სტიუარტ ტეილორი, იტალიელებს კი ანდრეა პირლო უკაპიტნებს.*

*ეს ჩემპიონატი რიგით მერვეა და შვეიცარია მასპინძლობს, ხოლო ახლანდელი ჩემპიონი იტალიაა, რომელსაც წინა შეხვედრიდან ოთხი მოუგია*

**A ჯგუფი**

**ინგლისი**
**იტალია**
**პორტუგალია**
**შვეიცარია**

17 მაისი
იტალია — პორტუგალია
ინგლისი — შვეიცარია
20 მაისი
იტალია — ინგლისი
პორტუგალია — შვეიცარია
22 მაისი
შვეიცარია — იტალია
პორტუგალია — ინგლისი

25 მაისი ნახევარფინალი
B1 — A2 A1 — B2

**B ჯგუფი**

**ბელგია**
**საფრანგეთი**
**საბერძნეთი**
**ჩეხეთი**

16 მაისი
საბერძნეთი — ბელგია
საფრანგეთი — ჩეხეთი
19 მაისი
საბერძნეთი — საფრანგეთი
ბელგია — ჩეხეთი
21 მაისი
ჩეხეთი — საბერძნეთი
ბელგია — საფრანგეთი

28 მაისი
ფინალი

## ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი
A ჯგუფი. III ტური

დენ ბოსხი — როზენდალი 1:4; ემენი — კამბური 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენდალი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| დენ ბოსხი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| ემენი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 |
| კამბური | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |

## ამხანაგური მატჩები

სლოვაკეთი 4:1 უზბეკეთი

1:0 გრეშკო (6), 2:0 კოზლეი (47), 2:1 ტოიჯერ (48), 3:1 კოზლეი (79), 4:1 მინტალი (86)

## ახალგაზრდულები

სლოვაკეთი 2:2 ისრაელი

## შვედეთი

VII ტური

გიოტებორგი 3:1 ჰამარბი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანდსკრონა | 7 | 4 | 3 | 0 | 19:8 | 15 |
| ორგრიტე | 7 | 4 | 2 | 1 | 12:9 | 14 |
| მალმიო | 7 | 4 | 0 | 3 | 14:9 | 12 |
| იურგორდენი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:9 | 11 |
| ორებრო | 7 | 3 | 2 | 2 | 7:8 | 11 |
| გიოტებორგი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:8 | 10 |
| ჰელსინგბორგი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:12 | 10 |
| სუნდსვალი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 |
| ჰალმსტადი | 7 | 1 | 5 | 1 | 6:6 | 8 |
| ელფსბორგი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | 8 |
| ჰამარბი | 7 | 1 | 3 | 3 | 13:16 | 6 |
| აიკ | 7 | 1 | 3 | 3 | 10:14 | 6 |
| კალმარი | 7 | 1 | 3 | 3 | 2:8 | 6 |
| ნორჩიოპინგი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:8 | 5 |


**იყიდება სასწრაფოდ!**

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით

**ტელ: 22-23-15**


Copa Toyota Libertadores '2002

## ლიბერტადორესის თასი 2002

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

**სან კაეტანო (ბრაზილია) 2:1 (პენ.3:1) პენიაროლი (ურუგვაი) (0:1)**

0:1 ხიმენესი (1), 1:1 ჟან კარლოსი (27), 2:1 სომალია (54)

სან კაეტანო: ს. ლუისი, რუსო, დანიელი, დინიზი, რ. კარდოზო, სენა, სერჟინიო (რობერტო 46), აილტონი (მარლონი 83), ადაოზინიო, ჟან კარლოსი (ვაგნერი 73), სომალია

პენიაროლი: ბერბია, ს. გარსია (დე სოუზა 61), ბარბოსა, როსტუნდო, რ. ლიმა, გალიანონე, ბენგოეჩეა, სედრესი, ფაბარდო, კანობიო (ბუენო 72), დ. ხიმენესი (კაზანოვა 89)

მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)

35 000 მაყურებელი


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXIV ტური

18 მაისი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 001 | დიუსელდორფი-აუე | 2,4 | 3,2 | 2,4 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 17.00 | 002 | დრეზდენი-ლიუბეკი | 3,3 | 3,2 | 1,9 | 1,6 | 1,2 | 1,15 |
| 17.00 | 003 | ფორტუნა-ოსნაბრიუკი | 2,3 | 3,2 | 2,5 | 1,3 | 1,1 | 1,4 |
| 17.00 | 004 | ვერდერი (მ)-ფერლი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 17.00 | 005 | კილი-ლევერკუზენი (მ) | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 17.00 | 006 | ბრაუნშვაიგი-ვატენშაიდი | 1,5 | 3,5 | 5,3 | 1 | 1,15 | 2,1 |
| 17.00 | 007 | ქემნიცი-ურდინგენი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXIV ტური

18 მაისი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 008 | ტრირი-მანჰაიმი | 1,6 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 17.30 | 009 | კაისერსლაუტერნი (მ)-ერფურტი | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 17.30 | 010 | დარმშტადტი-კიკერსი | 1,95 | 2,9 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,6 |
| 17.30 | 011 | ვეჰენი-რეგენსბურგი | 2,0 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 17.30 | 012 | ბურგჰაუზენი-ზიგენი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 17.30 | 013 | ანსბახი-ოფენბახი | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 17.30 | 014 | შტუტგარტი (მ)-ელვერსბერგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 17.30 | 015 | ბაიერნი (მ)-ჰოფენჰაიმი | 1,75 | 3,3 | 3,8 | 1,1 | 1,1 | 1,75 |

### იტალია. სერია „ც1". ფლეი ოფი. I მატჩები.

19 მაისი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 026 | ტრიესტინა-სპეცია | 2,3 | 2,6 | 3,3 | 1,2 | 1,35 | 1,4 |
| 19.30 | 027 | ტრევიზო-ლუკეზე | 2,1 | 2,6 | 3,8 | 1,15 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 028 | პესკარა-კატანია | 2,0 | 2,6 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 19.30 | 029 | ლანჩანო-ტარანტო | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |

### იტალია. სერია „ც1". ფლეი აუტი. I მატჩები.

19 მაისი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 030 | არეცო-კარარეზე | 2,2 | 2,9 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 031 | ალზანო-რეჯანა | 2,1 | 2,7 | 3,6 | 1,15 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 032 | სორა-დი სანგრო | 2,3 | 2,5 | 3,4 | 1,1 | 1,35 | 1,4 |
| 19.30 | 033 | ნოჩერინა-ბენევენტო | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXXXI ტური

19 მაისი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 034 | ფეროლი-ალბასეტე | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 21.00 | 035 | სალამანკა-სპორტინგი | 2,3 | 2,7 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,45 |
| 22.00 | 036 | უელვა-ხერესი | 1,9 | 2,8 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,65 |
| 22.00 | 037 | ლეგანესი-ნუმანსია | 2,0 | 2,6 | 3,3 | 1,1 | 1,2 | 1,4 |
| 22.00 | 038 | ეიბარი-კორდობა | 2,0 | 2,5 | 4,4 | 1,1 | 1,35 | 1,55 |
| 22.00 | 039 | ხაენი-ელჩე | 2,0 | 3,0 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 22.00 | 040 | ბურგოსი-მურსია | 2,2 | 2,5 | 2,0 | 1,15 | 1 | 1,1 |
| 22.00 | 041 | რასინგი-ატლეტიკო | 2,0 | 2,9 | 3,0 | 1,15 | 1,2 | 1,45 |
| 22.00 | 042 | ექსტრემადურა-პოლი ეხიდო | 2,0 | 2,8 | 3,5 | 1,15 | 1,25 | 1,55 |
| 22.00 | 043 | ოვიედო-ხიმნასტიკი | 1,7 | 3,1 | 2,5 | 1 | 1 | 1,35 |
| 22.30 | 044 | ლევანტე-ბადახოსი | 2,2 | 2,6 | 3,5 | 1,15 | 1,3 | 1,45 |

### ბელგია

ფლეი ოფი

16 მაისი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 053 | მონსი-ჰეუსდენი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 054 | ინგელმუნსტერი-სერკლი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |

### დანია. XXXIII ტური

16 მაისი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 057 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 3,0 | 3,4 | 1,85 | 1,55 | 1,1 | 1,1 |
| 22.00 | 058 | აკადემისკი-ოდენსე | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,25 | 1,2 | 1,55 |
| 22.00 | 059 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1,35 | 3,5 | 4,4 | 1 | 1 | 1,9 |
| 22.00 | 060 | ორჰუსი-სილკებორგი | 2,0 | 2,8 | 3,5 | 1,15 | 1,25 | 1,55 |

### ნორვეგია

VIII ტური

16 მაისი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 064 | ბრანი-ბრიინი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 21.00 | 065 | ლინი-ბოდოი გლიმტი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 21.00 | 066 | მოლდე-მოსი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 21.00 | 067 | ოდ გრენლანდი-სოგნდალი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 21.00 | 068 | როზენბორგი-სტარტი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 21.00 | 069 | ვიკინგი-სტაბეკი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 070 | ლილესტრიომი-ვოლერენგა | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |

### ლიბერტადორესის თასი მეოთხედფინალი. II წრე

16 მაისი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03.30 | 404 | ოლიმპია-ბოკა ხუნიორსი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 08.10 | 405 | ამერიკა-მორელია | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |

### ამხანაგური მატჩები

16 მაისი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14.00 | 413 | კორეა-შოტლანდია | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 15.30 | 414 | ჩინეთი-ურუგვაი | 2,7 | 3,0 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 23.30 | 415 | ირლანდია-ნიგერია | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 02.00 | 416 | მექსიკა-ბოლივია(აშშ-ში) | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 04.30 | 417 | აშშ-იამაიკა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 418 | იუგოსლავია-უკრაინა (მოსკოვი) | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 21.00 | 419 | რუსეთი-ბელარუსი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 22.00 | 420 | შვედეთი-პარაგვაი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 22.15 | 421 | დანია-კამერუნი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 23.15 | 422 | სლოვენია-განა | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 423 | ნიგერია-იამაიკა(ინგლისში) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 22.00 | 424 | გერმანია-ავსტრია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 23.15 | 425 | პოლონეთი-ესტონეთი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 23.45 | 426 | ჩეხეთი-იტალია | 2,6 | 2,9 | 2,5 | 1,35 | 1,25 | 1,3 |
| 23.45 | 427 | საფრანგეთი-ბელგია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 428 | აშშ-ჰოლანდია | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 11.45 | 429 | ს. აფრიკა-შოტლანდია (ჰონგ კონგი) | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 14.00 | 430 | ჰონგ კონგი-თურქეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,45 | 1,15 | 1 |

### ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე)

16 მაისი (შვეიცარიაში)

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 431 | საფრანგეთი-ჩეხეთი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 23.00 | 432 | საბერძნეთი-ბელგია | 2,5 | 2,9 | 2,6 | 1,3 | 1,25 | 1,35 |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 23.15 | 433 | ინგლისი-შვეიცარია | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 23.30 | 434 | იტალია-პორტუგალია | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,55 |

## ესპანეთი. მეორე დივიზიონი. 2001-02. XXXXI ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.05.02 | 16.00 | 034 | 0:4ნუმანსია; ბადახოსი1:0; 3:5სპორტინგი ფეროლი V ალბასეტე ეიბარი0:0; 0:1ხაენი; ბურგოსი2:1 | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 | 1:2 | 3:2 0:1 | - | - |
| 19.05.02 | 21.00 | 035 | 0:2უელვა; 2:0ხერესი; ლევანტე0:1 სალამანკა V სპორტინგი ლევანტე0:1; 2:0ლეგანესი; ფეროლი5:3 | 2,3 | 2,7 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,45 | 1:1 | 2:1 0:2 | 3:2 0:2 | - |
| 19.05.02 | 22.00 | 036 | სალამანკა2:0; 1:0ლევანტე; ლეგანესი1:2 უელვა V ხერესი 1:2ხიმნასტიკი; სალამანკა0:2; 1:1ეხიდო | 1,9 | 2,8 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,65 | 0:0 | - | - | - |
| 19.05.02 | 22.00 | 037 | 2:3ბადახოსი; სპორტინგი0:2; 2:1უელვა ლეგანესი V ნუმანსია ფეროლი4:0; 0:2ეიბარი; ხაენი1:0 | 2,0 | 2,6 | 3,3 | 1,1 | 1,2 | 1,4 | 0:1 | - | - | 0:5 1:1 |
| 19.05.02 | 22.00 | 038 | 0:0ალბასეტე; ნუმანსია2:0; 1:0ბადახოსი ეიბარი V კორდობა ხაენი2:1; 1:0ბურგოსი; რასინგი0:4 | 2,0 | 2,5 | 4,4 | 1,1 | 1,35 | 1,55 | 2:0 | 3:0 0:2 | 1:1 1:1 | - |
| 19.05.02 | 22.00 | 039 | 1:2კორდობა; ალბასეტე1:0; 0:1ნუმანსია ხაენი V ელჩე ბურგოსი2:0; 0:0რასინგი; ექსტრემადურა0:0 | 2,0 | 3,0 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 | 3:1 | 0:0 3:1 | - | - |
| 19.05.02 | 22.00 | 040 | 0:2ელჩე; კორდობა0:1; 1:2ალბასეტე ბურგოსი V მურსია რასინგი0:0; 2:0ექსტრემადურა; ოვიედო1:1 | 2,2 | 2,5 | 2,0 | 1,15 | 1 | 1,1 | 2:1 | - | - | - |
| 19.05.02 | 22.00 | 041 | 0:0მურსია; ელჩე0:0; 4:0კორდობა რასინგი V ატლეტიკო ექსტრემადურა3:2; 3:2ოვიედო; ხიმნასტიკი3:3 | 2,0 | 2,9 | 3,0 | 1,15 | 1,2 | 1,45 | 0:2 | - | - | - |
| 19.05.02 | 22.00 | 042 | 2:3ატლეტიკო; მურსია0:2; 0:0ელჩე ექსტრემადურა V ეხიდო ოვიედო3:0; 2:2ხიმნასტიკი; ხერესი1:1 | 2,0 | 2,8 | 3,5 | 1,15 | 1,25 | 1,55 | 0:0 | - | - | - |
| 19.05.02 | 22.00 | 043 | 0:3ეხიდო; ატლეტიკო2:3; 1:1მურსია ოვიედო V ხიმნასტიკი ხერესი2:1; ეხიდო2:2; 3:3ატლეტიკო | 1,7 | 3,1 | 2,5 | 1 | 1 | 1,35 | 0:1 | - | - | - |
| 19.05.02 | 22.30 | 044 | 1:0სპორტინგი; უელვა0:1; 1:0სალამანკა ლევანტე V ბადახოსი ლეგანესი3:2; 0:1ფეროლი; ეიბარი0:1 | 2,2 | 2,6 | 3,5 | 1,15 | 1,3 | 1,45 | 2:2 | 1:1 2:1 | 1:1 1:1 | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ატლეტიკო მადრიდი (4) | | 2:0 | 1:1 | 0:0 | 4:0 | 0:1 | 0:0 | 3:2 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 0:0 | 26.05 | 0:2 | 1:0 | 2:2 | 2:1 | 4:2 | 1:0 | 3:3 | 3:2 | 2:0 | 40 | 23 | 9 | 8 | 67:42 | 78 | 11 | 7 | 2 | 32:18 | 40 | 12 | 2 | 6 | 35:24 | 38 |
| 2 | რასინგი სანტანდერი (დ) | : | | 1:5 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 1:1 | 3:1 | 1:1 | 2:0 | 0:1 | 2:0 | 0:2 | 3:1 | 3:0 | 4:0 | 4:2 | 1:0 | 2:1 | 3:0 | 1:1 | 2:0 | 40 | 18 | 14 | 8 | 57:36 | 68 | 13 | 4 | 3 | 36:17 | 43 | 5 | 10 | 5 | 21:19 | 25 |
| 3 | უელვა (6) | 1:3 | 1:1 | | : | 1:0 | 0:0 | 0:2 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 2:1 | 0:1 | 1:2 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 0:1 | 1:0 | 1:0 | 3:2 | 0:3 | 40 | 17 | 15 | 8 | 44:31 | 66 | 11 | 3 | 6 | 21:17 | 36 | 6 | 12 | 2 | 23:14 | 30 |
| 4 | ხერესი (დ) | 0:1 | 2:1 | 0:0 | | 2:0 | 1:0 | 26.05 | 0:2 | 1:0 | 0:2 | 2:1 | 1:0 | 1:0 | 3:3 | 2:0 | 2:1 | 0:1 | 3:1 | 2:1 | 2:1 | 1:2 | 1:0 | 40 | 18 | 9 | 13 | 39:39 | 63 | 13 | 2 | 5 | 26:17 | 41 | 5 | 7 | 8 | 13:22 | 22 |
| 5 | ელჩე (18) | 5:1 | 1:1 | 1:1 | 4:0 | | 1:0 | 2:0 | 1:0 | 26.05 | 4:1 | 0:0 | 2:3 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 1:1 | 2:2 | 1:1 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 1:3 | 40 | 16 | 13 | 11 | 51:39 | 61 | 11 | 7 | 2 | 33:14 | 40 | 5 | 6 | 9 | 18:25 | 21 |
| 6 | სპორტინგი ხიხონი (7) | 2:1 | 1:1 | 26.05 | 0:1 | 0:1 | | 0:0 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 5:3 | 3:0 | 0:1 | 1:1 | 3:0 | 2:1 | 0:1 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 3:2 | 40 | 15 | 13 | 12 | 52:45 | 58 | 7 | 8 | 5 | 25:18 | 29 | 8 | 5 | 7 | 27:27 | 29 |
| 7 | რეალი ოვიედო (დ) | 2:3 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 3:6 | 0:2 | | 0:0 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 3:1 | 2:0 | 0:0 | 1:0 | 0:0 | 1:1 | 2:0 | 1:1 | : | 1:1 | 0:0 | 40 | 13 | 19 | 8 | 40:36 | 58 | 7 | 10 | 3 | 21:17 | 31 | 6 | 9 | 5 | 19:19 | 27 |
| 8 | ალბასეტე (5) | 2:1 | 0:1 | 0:0 | 3:0 | 0:2 | 1:2 | 1:1 | | 0:0 | 0:1 | 2:1 | 0:0 | 2:1 | 26.05 | 2:0 | 3:1 | 3:0 | 1:0 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 4:0 | 40 | 15 | 11 | 14 | 42:37 | 56 | 11 | 5 | 4 | 28:13 | 38 | 4 | 6 | 10 | 14:24 | 18 |
| 9 | ეიბარი (15) | 0:3 | 2:2 | 1:1 | 2:0 | 3:1 | 2:0 | 1:1 | 1:0 | | 0:1 | 2:0 | : | 1:0 | 0:0 | 0:1 | 2:0 | 7:0 | 0:1 | 4:2 | 3:1 | 0:0 | 1:1 | 40 | 13 | 15 | 12 | 39:26 | 54 | 10 | 6 | 4 | 32:15 | 36 | 3 | 9 | 8 | 7:11 | 18 |
| 10 | სალამანკა (9) | 0:0 | 1:2 | 2:3 | 1:1 | 1:0 | : | 3:0 | 2:0 | 1:0 | | 3:1 | 0:0 | 0:1 | 1:0 | 2:2 | 2:0 | 0:1 | 0:0 | 0:2 | 3:3 | 0:0 | 0:1 | 40 | 13 | 14 | 13 | 48:49 | 53 | 7 | 7 | 6 | 22:17 | 28 | 6 | 7 | 7 | 26:32 | 25 |
| 11 | ფეროლი (16) | 1:1 | 2:0 | 1:1 | 2:2 | 1:0 | 1:2 | 0:2 | : | 1:1 | 3:1 | | 1:3 | 3:0 | 3:0 | 1:0 | 2:1 | 1:2 | 2:0 | 2:1 | 1:2 | 2:0 | 0:1 | 40 | 15 | 7 | 18 | 55:59 | 52 | 10 | 4 | 6 | 30:20 | 34 | 5 | 3 | 12 | 25:39 | 18 |
| 12 | კორდობა (12) | 0:2 | 0:4 | 0:0 | 0:0 | 3:0 | 1:2 | 0:1 | 3:1 | 0:2 | 4:2 | 26.05 | | 1:1 | 1:1 | 1:2 | 1:0 | 3:1 | 2:1 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 40 | 14 | 10 | 16 | 44:48 | 52 | 8 | 5 | 7 | 25:23 | 29 | 6 | 5 | 9 | 19:25 | 23 |
| 13 | ბურგოსი (დ) | 0:4 | 0:0 | 1:3 | 3:1 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 0:0 | 2:4 | 0:1 | | 0:0 | 0:1 | 1:1 | 0:1 | : | 2:0 | 1:0 | 1:0 | 0:0 | 40 | 12 | 15 | 13 | 30:35 | 51 | 4 | 10 | 6 | 12:17 | 22 | 8 | 5 | 7 | 18:18 | 29 |
| 14 | ლეგანესი (17) | 0:3 | 1:4 | 0:0 | 0:1 | 0:0 | 0:2 | 1:3 | 1:2 | 1:0 | 3:1 | 2:2 | 1:1 | 0:0 | | 1:0 | : | 2:1 | 0:0 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 40 | 12 | 14 | 14 | 38:44 | 50 | 8 | 6 | 6 | 21:21 | 30 | 4 | 8 | 8 | 17:23 | 20 |
| 15 | ბადახოსი (14) | 0:1 | 3:2 | 1:0 | 1:0 | 1:3 | 1:2 | 1:0 | 2:3 | 0:1 | 26.05 | 2:1 | 0:1 | 2:3 | 3:2 | | 0:0 | 2:2 | 1:1 | 0:1 | 2:1 | 2:2 | 1:0 | 40 | 14 | 7 | 19 | 40:50 | 49 | 8 | 4 | 8 | 25:26 | 28 | 6 | 3 | 11 | 15:24 | 21 |
| 16 | ნუმანსია (დ) | 1:2 | 0:1 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 1:2 | 1:0 | 1:1 | 2:2 | 4:0 | 0:2 | 1:5 | 1:0 | 1:2 | | 26.05 | 1:0 | 3:0 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 40 | 12 | 12 | 16 | 43:51 | 48 | 7 | 7 | 6 | 23:20 | 28 | 5 | 5 | 10 | 20:31 | 20 |
| 17 | ლევანტე (8) | 2:4 | 1:1 | 0:1 | 0:1 | 1:1 | 4:3 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 2:2 | 3:1 | 3:1 | 0:0 | 1:2 | : | 0:1 | | 0:0 | 0:0 | 2:2 | 1:0 | 0:1 | 40 | 11 | 14 | 15 | 39:52 | 47 | 4 | 10 | 6 | 21:22 | 22 | 7 | 4 | 9 | 18:30 | 25 |
| 18 | მურსია (13) | 3:1 | 0:0 | 2:0 | 0:0 | 2:1 | 3:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 3:3 | 1:2 | 1:0 | 1:2 | 0:0 | 1:1 | 1:2 | 0:1 | | 0:1 | 0:2 | 2:1 | 26.05 | 40 | 10 | 16 | 14 | 33:38 | 46 | 6 | 8 | 6 | 21:19 | 26 | 4 | 8 | 8 | 12:19 | 20 |
| 19 | პოლიდეპორტივო ეხიდო ეხიდო (დ) | 1:2 | 26.05 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 2:2 | 3:0 | 2:0 | 0:0 | 2:4 | 3:0 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 1:0 | 3:4 | 1:0 | 0:0 | | 1:0 | 0:0 | 1:0 | 40 | 11 | 13 | 16 | 39:46 | 46 | 7 | 9 | 4 | 23:16 | 30 | 4 | 4 | 12 | 16:30 | 16 |
| 20 | ხიმნასტიკი ტარაგონა (დ) | 1:2 | 0:0 | 1:2 | 2:1 | 1:2 | 1:1 | 1:0 | 0:1 | 1:0 | 2:2 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 0:1 | 1:1 | 3:1 | 1:0 | 1:1 | 2:2 | | 26.05 | 0:2 | 40 | 10 | 13 | 17 | 40:48 | 43 | 7 | 7 | 6 | 21:19 | 28 | 3 | 6 | 11 | 19:29 | 15 |
| 21 | ექსტრემადურა (11) | 2:0 | 2:0 | 0:3 | 0:1 | 1:0 | 1:2 | 1:1 | 0:0 | 0:1 | 0:1 | 1:2 | 3:2 | 2:0 | 2:1 | 0:4 | 0:2 | 1:0 | 0:2 | : | 1:0 | | 5:0 | 40 | 10 | 12 | 18 | 35:46 | 42 | 9 | 2 | 9 | 22:22 | 29 | 1 | 10 | 9 | 13:24 | 13 |
| 22 | ხაენი (10) | 1:0 | 0:0 | 1:1 | 0:2 | : | 3:3 | 1:3 | 1:0 | 0:0 | 0:1 | 1:4 | 1:2 | 0:0 | 1:0 | 0:1 | 1:2 | 0:1 | 0:0 | 3:1 | 0:1 | 1:0 | | 40 | 11 | 9 | 20 | 30:48 | 42 | 5 | 6 | 9 | 15:22 | 21 | 6 | 3 | 11 | 15:26 | 21 |

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |

## გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო
## თბილისი, ხუდადოვის ქ. №4

საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი ნახევარფინალი, სამ მოგებამდე

# თეატრალური მოდერნი სპორტის სასახლეში

## ძველი სპექტაკლი ახალი ფინალით



სტუ-ელი კახა შენგელიას გაფორთიალება-გარბენმა მატჩის ბედი „დინამოს" სასარგებლოდ გადაწყვიტა

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| სტუ | 1 |

15 მაისი. სპორტის სასახლე

**სტუ 65:69 დინამო**

17:25, 14:19, 14:12, 20:13

**სტუ:** აბრამიძე (4), ხოშტარია (20), დავითულიანი (1), მინაშვილი (7), შენგელია (19); ბაბიაშვილი (12), გაგნიძე, ოთიურიძე (2), ლოსაბერიძე

**დინამო:** ფლენტი (18), ჩხეიძე (17), ჩუბინიძე (6), მუპე (16), ოგანესიანი (8); ნაცვლიშვილი (2), კორძაძე (2)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერუკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**ირაკლი პირტაია**

გუშინ მავანი კალათბურთის გულშემატკივარი „დინამო" — სტუ-ს მესამე ნახევარფინალურ მატჩზე დაგვიანებით რომ მისულიყო და მისი დრამატული ფინალისთვის ეცქირა, ალბათ, ინანებდა — აფსუს, რა თამაშს ვერ ვუყურეო. და თუ მართლაც იყო ასეთი შემთხვევა, იმ ქომაგის გასახარად ვიტყვით: პირველი 35 წუთი დიდი ვერაფერი სანახავი იყო, „დინამო" ნიადაგ ლიდერობდა, თან ისე, ანგარიშში სხვაობა 10 ქულას ერთიორჯერ თუ ჩამოსცდა. სტუ-მ კი, რომელმაც დინამოელებთან ანგარიშში ჩამორჩენის აღმოფხვრაში ლამის დისერტაცია დაიცვას, გუშინაც იგივე გააკეთა და მანამდე დაარხეინებული „დინამოს" მშფოთვარე ფანობა ბოლო წუთებზე გვარიანად ანერვიულა. მაგრამ სანამ ამ შეხვედრაში ყველაზე საინტერესო მონაკვეთზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვით დებიუტიდან განვითარებულ მოვლენებზე გეტყვით.

ლევან მოსეშვილის გუნდმა თავიდანვე დაცვაზე გააკეთა აქცენტი. ირაკლი ჯაფარიძე კვლავაც არ იყო და წინა მატჩში გალაღებულ ვახტანგ მინაშვილს დინამოელნი საგულდაგულოდ მეურვეობდნენ. თუმცა მინაშვილმა მე-3 წამზე სტუ დააწინაურა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მას ბურთის ჩაგდება მესამე მეოთხედამდე აღარ ეღირსებოდა. არმენ ოგანესიანმა კახა შენგელია გააუვნებლა და მას „დინამოს" ზონაში ბლომად ბურთები აკარგვინა. ხოშტარია კი პირველ ათწუთეულში არავის ახსოვდა, მოედანზე თუ იყო. რევაზ ჩხეიძე, რომელიც მას ლანდად აედევნა, დინამოელთ მთავარ მექულედ მოევლინა. „ჩხიროძ" კონტრშეტევით ორჯერ იხეირა, ამდენჯერვე სამქულიანი ჩაუძახა სტუ-ს კალათში და მეშვიდე წუთისთვის სტუდენტები უიმედოდ აგებდნენ — 6:19. ნუგზარ ჭეიშვილმა ხელშებორკილი დავითულიანის ნაცვლად ზვიად ბაბიაშვილი შეიყვანა თამაშში და არითმიაშეყრილ სტუ-ს გული რიტმში აძგერდა. იგი პიონერი იყო ბოლო 5 წუთს შეურყევლად მდგარი „დინამოს" დაცვის ჯებირის გარღვევაში, რაც ანგარიშს უმალ დაეტყო — 17:23.

მეორე მეოთხედში ლევან მოსეშვილმა ჩხეიძე მცირე ხნით გაიხმო მოედნიდან და ხოშტარიამაც პირველი ქულები გამოაცხო, მაგრამ ამ პერიოდში ჩაგდებულმა მისმა 12-მა ქულამ საქმე ვერ გამოუკეთა სტუ-ს. მოედანსდაბრუნებული ჩხეიძე ხოშტარიას დაეხსნა და სწრაფი გარღვევებით „დინამოს" ლიდერობას ულვივებდა. ათწუთეულის ბოლოს აჰმედ მუპემაც გამოიღო ხელი და ტაიმთშორისი ანგარიში „დინამოსი" იყო — 44:31.

სტუ-ს მესაჭე ბევრს ცდილობდა, რაიმე ეფექტური დაეპირისპირებინა „დინამოსთვის", მაგრამ უთავბოლო შეცვლებით ვერაფერს გახდა, სანამ ბოლო მეოთხედში თავად მეტოქე არ დაითრგუნა მოახლოებულ ბოლოწუთეულში წაგების შიშით. სირენამდე 6 წუთით ადრე ოგანესიანი გავარდა და განგაშის ზარმაც ამ დროს ჩამოკრა დინამოელთათვის. ფარის არემარე მყუდროდ რომ დაიგულა ჭეიშვილმა, ოთიურიძეს უხმო ფიცარნაგზე, რომლის ჩაჭრებმა და ხოშტარიას სწრაფმა პირველმა შეტევებმა დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ანგარიში საბრძოლო გახადა — 59:62...

...არჩილ ფლენტი ერთ წუთში ზედიზედ 5 ქულას იხვეჭს და სტუ-სთვის თითქოს ყველაფერი დასრულდა — 61:67, მაგრამ სტუდენტები მცირე სასწაულს სჩადიან, აბრამიძე ბურთს ჩაჭრის და ხოშტარია კონტრშეტევაზე აგდებს, თან მასთან ბრძოლაში ჩუბინიძე არასპორტულად ჯარიმდება... ზუსტი საჯარიმო და 64:67, ოღონდ „ხოშტარა" გვერდიდან შემოტანილ ბურთს კარგავს და თამაშის დამთავრებამდე წუთით ადრე „დინამოს" გულშემატკივრისთვის ყველაზე სავაივიშო მომენტი დგება... სრულ ეულობაში მყოფი ზურაბ ჩუბინიძე ფარქვეშიდან ბურთს ვერ აგდებს და ყველაფერი ჩვეული სცენარით მიდის: ბოლო წამები, „დინამოს" სამქულიანი უპირატესობა, ხოშტარია მოედანზე და იმის მოლოდინი, ჩააგდებს თუ ვერა სამიანს. ცხადია, დინამოელებმა მწარე გამოცდილებით მატჩის ფინალი ზეპირად იციან და ეგრევე აბრამიძეზე ჯარიმდებიან, რომელიც ორივე სროლას აცუდებს, მაგრამ სპექტაკლი გრძელდება, რადგან ფარიდან ასხლეტილ ბურთს შენგელია ეუფლება და ბრძოლაში იატაკზე გართხმული ხოშტარიას ეძებს მისაწოდებლად, თუმცა კოტრიალს აკეთებს და გარბენი... „დინამო" გადარჩა.



სპეცრაზმისთვის ზაზა მაჩალაძე №1 ობიექტია

# ევროპა უკვე დიდი ბიჭია: დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო

## ქართველებმა ქალებს უნდა მიხედონ

*12 მაისი ევროპული კალათბურთისთვის ისტორიული დღე გამოდგა. ბელგიის ქალაქ ოსტენდეში ევროპა ფიბა-ს ოფიციალურად გაემიჯნა და დაფუძნდა დამოუკიდებელი ორგანო ფიბა-ევროპა, რომელსაც დაახლოებით იგივე ფუნქციები ექნება, როგორიც უეფას ფიფასთან მიმართებით აქვს.*

ეს დღე ქართული კალათბურთისთვისაც თავისებურად ისტორიულია. საქმე ისაა, რომ ევროკალათბურთის მახვშთა 47-ე ასამბლეაში, რომელმაც ახალი ორგანიზაცია დაამტკიცა, საქართველოს დელეგაცია პირველად მონაწილეობდა. და კიდევ: ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები ასევე პირველად აირჩიეს ფიბა-ს სტრუქტურაში, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი ევროპის ქალთა კალათბურთის განმგები კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იქნება... თუმცა, რომ არა მოძრაობა „ახალი მემარჯვენეები", რომელმაც უზრუნველყო ქართველების ბელგიაში გამგზავრება, შეუძლებელი იყო, ჩვენს დელეგაციას იმ წინამორბედთა ბედი გაეზიარებინა, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ესწრებოდნენ ამგვარ შეკრებებს.



ნიკოლოზ დერიუგინი ბენეფისის მოლოდინში

გუშინ ევროპული მილინებიდან დაბრუნებულმა ფედერაციის პრეზიდენტმა და საზოგადოებასთან და უცხოეთთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ მერაბ რატიშვილმა სპორტის დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში მედიას ბელგიური ამბებ-შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

თავიდან კომიტეტის თავმჯდომარემ დაიწყო:

— ასამბლეის მიერ ახალი ორგანიზაციის დამტკიცების შემდეგ დელეგატებმა პრეზიდენტი ავირჩიეთ. საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გეორგიოს ვასილოკოპულოსმა, რომელიც ფაქტობრივად ამ ორგანიზაციას აქამდეც ედგა სათავეში, 49 ხმიდან 34 მიიღო და თურქეთის ფედერაციის პრეზიდენტ თურგაი დემირელს აჯობა. შემდეგ აირჩიეს 23-კაციანი ალმასკომი, რომელმაც მუშა კომიტეტების შექმნა დაიწყო. სულ შვიდ კომიტეტი დამტკიცდა — ტექნიკური, საშეჯიბრო, ფინანსური, იურიდიული, ახალგაზრდული, ქალთა და სააპელაციო. ბატონი ბესიკი საშეჯიბრო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტზე წარვადგინეთ. ამ კომიტეტში მოხვედრაზე 24 კანდიდატი აცხადებდა პრეტენზიას, ადგილი კი 7 იყო. მის ხელმძღვანელად გახდომის შანსი ლიპარტელიანს არ ჰქონდა და ვასილოკოპულოსის რჩევით, საშეჯიბრო კომიტეტის რიგით წევრობას ქალთა კომიტეტის ვიცეთავმჯდომარეობა ვარჩიეთ.

მის უფლება-მოვალეობებზე თავად ბესიკ ლიპარტელიანმა ისაუბრა:

— ეს კომიტეტი კურირებას გაუწევს ევროპის ქალთა კალათბურთს. კომიტეტთან ითანამშრომლებს ყველა ქვეყანა, თუმცა როგორ და რა ფორმით მოხდება ეს, ჯერჯერობით უცნობია. თუ რა სახით წარიმართება ჩემი და სხვა კომიტეტთა წევრების საქმიანობა, ამის შესახებ ერთ თვეში წერილობით გვაცნობებენ.



ბესიკ ლიპარტელიანი და მერაბ რატიშვილი

–რაც შეეხება ფინანსურ დახმარებას, ჯერ თავად ახალდაფუძნებული ფედერაცია უნდა ჩამოყალიბდეს ამ მხრივ და შემდგომ მასში შემავალ ქვეყნებსაც მიეხედება...

–ფიბა-ევროპის ხელმძღვანელი ვიცე-პრეზიდენტებითურთ 8 ივნისისთვის თბილისში ნიკოლოზ დერიუგინის საბენეფისო მატჩზე დასასწრებად ჩამოვლენ. ამ მხრივ ისაა ახალი, რომ ადრე ჩამოთვლილ ყოფილ საბჭოთა ვარსკვლავებს ნიკოლოზ ტიუბინიც შეემატება, რომელიც ბევრი ძებნის შემდეგ გუშინ მოსკოვში მოვიხელთეთ. არვიდას საბონისს კი ოჯახური პრობლემები შექმნია და შესაძლოა, საამშობლოდ ვერ ჩამოვიდეს, თუმცა როგორც გვითხრა, საამისოდ ყველაფერს იღონებს. შესაძლებელია, 8 ივნისის მატჩზე ვლადიმერ სტეფანიაც გვეწვიოს, მასთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ.

„სარბიელის" მკითხველისთვის ცნობილი ამბავია, რომ კორაჩისა და საპორტას თასები გაუქმდა, ოსტენდეში კი ევროთასების ბედიც გაირკვა. ბებერ კონტინენტზე თასების გათამაშება მხოლოდ ფიბა-ევროპის ეგიდით მოხდება. აგრერიგად პოპულარულ ევროლიგას მისი აქამომდელი ორგანიზატორი ულებ-ი ახალდაფუძნებულ ფიბა-ევროპასთან ერთად ჩაატარებს.

ეს უკანასკნელი კი ფიბა-ევროპის თასს გაათამაშებს, რომელში მონაწილეობის უფლებაც 4 ქართულ კლუბს ექნება. ოღონდ დაბალი კოეფიციენტის გამო ქართველები პანევროპული დონის ნაცვლად უფრო დაბალ რეგიონალურ ტურნირში გამოვლენ. ფედერაციის ჩინოსანთათვის გაუგებარია, თუ რატომ მოახვედრეს საქართველო ჩრდილოეთ კონფერენციაში, სადაც შესაძლოა ქართულ კლუბებს ისლანდიურ ანაც დანიურ გუნდებთან მოუწიოს თამაშმა. თუმცა მათ იმედი აქვთ, რომ ტურნირის გამართვის ამ ფორმატს ერთ წელიწადში გადახედავენ.

ფედერაციელებმა ჟურნალისტებს ბოლოსთვის ეს ამბავი შემოგვინახეს: ბელგიაში გადაწყდა, რომ ამიერიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მოსახვედრად საკვალიფიკაციო შეჯიბრის (რომელიც საქართველოს ნაკრებისთვის გადაულახავ ბერიერად გადაიქცა) გავლა აღარ იქნება საჭირო. კონტინენტის მთავარ ტურნირში თამაშის მსურველი 42 ევროპული ქვეყანა შვიდ ექვსგუნდიან ჯგუფში გადანაწილდება, რომლებიდანაც ორ-ორი საუკეთესო ფინალურ ეტაპზე ითამშებს. ასე რომ, 2005 წელს იუგოსლავიაში გასამართ ევროჩემპიონატზე მოსახვედრად ბრძოლას ჩვენი ნაკრები მომავალ წლის ნოემბრიდან შესარჩევი ტურნირიდან დაიწყებს.

**ირაკლი პირტაია**

NBA PLAYOFFS პლეი ოფი მეორე წრე, ოთხ მოგებამდე

# ბიჭბუჭები და ისტორია

## მიველ, ვნახე მგელი (დეტროიტი), ცხვარმა (ბოსტონმა) ჭამა მგელი



ჭაბუკი ბოსტონელები ცხოვრების უდიდეს წარმატებას ზეიმობენ

— 14 მაისი —

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 1 |
| ბოსტონი | 4 |

**დეტროიტი 81:90 ბოსტონი**

**დეტროიტი:** ეტკინსი (22), უილიამსონი (17), კარი (16), უოლესი (6 ქულა, 16 მოხსნა, 4 დაფარება)

**ბოსტონი:** პირსი (18), ანდერსონი (17), უოლკერი (16 ქულა, 13 მოხსნა), როჯერსი (14), ბათი (10)

ახლა სტაჟიანი ქომაგებიც ველარ წამოაძახებენ თანამედროვე ბოსტონელებს, თქვენ რა „სელტიქსი" ხართ? თქვენ „სელტიქსის" მაისურებით მორბენალი ვილაც ბიჭბუჭები ხართ, ნამდვილი „სელტიქსი" ათი წელია, აღარ არსებობსო. არადა, „ბოსტონ სელტიქსი" ცოცხალი ყოფილა, „ვილაც ბიჭბუჭებმა" გააცოცხლეს, რომლებიც უკვე აღარ არიან „ვილაც ბიჭბუჭები". მათგან საუკეთესოების — პოლ პირსისა და ანტუან უოლკერის სახელებს და სახეებს კლუბის ისტორია შეინახავს და მათ სურათებს ქვეშ მიაწერს: „მათი მეთაურობით „სელტიქსმა" 13-წლიანი უქმობა შეწყვიტა და 2002 წელს კონფერენციის ფინალში გავიდა". იქნებ კონფერენციის ფინალზე მორსაც წავიდეს „ბოსტონი", ეს არავინ იცის. რას ჩაწერს „სელტიქსის" მემატიანე, ამას მომავალი გვიჩვენებს, ჩვენ კი სადღეისოდ ამ დიადი კლუბის გუშინდელ დღეს ქცეულ გუშინწინდელ თამაშს შევეხოთ.

სიტყვის კაცები გამოდგნენ ბოსტონელები, დანაქადნები — „დეტროიტს" დეტროიტშივე მეხუთე თამაშში დავცეთ ბეჭზეო, აასრულეს, სერია 4:1 მოიგეს და 1988 წლის შემდეგ პირველად გავიდნენ აღმოსავლეთის ფინალში, სადაც, სავარაუდოდ, „ნიუ ჯერსის" შეეტოქებიან.

სხვათა შორის, 14 მაისის გამარჯვება ძირითადად პირს-უოლკერის დამსახურება როდია, „კელტებმა" ერთხელაც დაიყვირეს, ამ ორის გამოკლებითაც გუნდი ვართო და „დეტროიტს" ამ ფრთიანი ბიჭების გარეშეც გადაახტნენ. პირსის და უოლკერის „ბოსტონისთვის" მათი წონა ოქროს ფას სხეულებს არც ნავსი ტრავმა მიუღიათ და არც მუხთალი ვირუსი შეპყრიათ. უბრალოდ, „დეტროიტმა" შეძლო და მეტოქეთაგან ყველაზე საშიშნი თამაშის რიტმიდან ამოაგდო. ვაგლახ, ამანაც ვერ უშველა.

დაცვითი თამაშით სახელ და გამარჯვებებმოხვეჭილი „დეტროიტი" მთელი სერიის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა, მეტოქეებში გუნდური და მეამბოხე სული ჩაეკლა და როგორ მოახერხა, საბოლოო ანგარიშმაც გამოაჩინა. პირსმა და უოლკერმა ჭრეს და ჭრეს ავტოქალაქელების ზონური დაცვა და პირველი ოთხი თამაშიდან სამი აართვეს „პისტონზს". „დეტროიტმაც" მეხუთე თამაშის წინ ზონურ-გუნდურიდან ინდივიდუალურ დაცვაზე გადაწყობა გადაწყვიტა და საკუთარ ნახევარზე მთელი ყურადღება ორ ყველაზე ბასრ ბოსტონელს მიაპყრო. ჩანაფიქრმა ნაწილობრივ გაამართლა. პირსი და უოლკერი მათ წინაშე აღმართულ დეტროიტელთა ხელების ტყეში ჩაინთქნენ, ჯამში 29 სროლიდან ათი თუ ჩააგდეს და მხოლოდ 34 ქულა მიაშველეს თავისიანებს. გარდა ამისა, დაცვაშიც ვერ გაუძლეს მასპინძელთა აგრესიულ მოძალებას და ბლომად პერსონალურები აკრიფეს.

ყველაფერი თითქოს დეტროიტელთა გეგმის მიხედვით მიდიოდა. ბოლო მეოთხედი „ბოსტონმა" ულიდერებოდ დაიწყო. ორივეს ხუთ-ხუთი პერსონალური დაპგროვებოდა. მაშინ, როდესაც სტუმართა გასაგლეჯად გამზადებული „დეტროიტი" კბილებს ილესდა, თითქოსდა დასაკლავად გამზადებული ცხვრებივით მომზირალი ბოსტონელები უცებ აბობოქრდნენ და იქით გადაყლაპეს მასპინძლები. გამთამაშებელმა კენი ანდერსონმა თავადაც ყარა და როდნი როჯერსსაც და ტონი ბათისაც მოუმართა ხელი. ასე, შუა მეოთხედიდან პირს-უოლკერიც შემობრუნდნენ მოედანზე და რამდენიმე ქულით ჩამორჩენილმა „დეტროიტმა" ბოლო წამებამდე ამაოდ იბორგა.

„ჩვენ ბედნიერები ვართ არა მარტო გამარჯვებით, არამედ ამათი (დეტროიტელების) აზრით წაგებული თამაშის მოგებით. პოლი და ანტუანი შვიდი თვეა, გუნდს „ქაჩავენ" და ხუთი წუთი ამათ მაგივრად რომ არ წაგვემუშავა, მათი ღალატი იქნებოდა." — თქვა გახარებულთა კნაჭა ცენტრმა ტონი ბათიმ.

„ეგებ ბევრია ჩვენზე უკეთესი გუნდი, მაგრამ ერთი მათგანიც არ არის ჩვენზე მონდომებული. ვფიქრობ, ვიმსახურებთ დიდ ფინალში „ლეიკერსთან" შეხვედრას" — „ბოსტონის" მწვრთნელი, ჩვეულებრივ სიტყვაძვირი ჯიმ ობრეინიც აალაპარაკა სიხარულმა.

„ლეიკერსამდე" და დიდ ფინალამდე კი პატარა, შიდასაკონფერენციო ფინალი აქვს მოსაგები „ბოსტონს". იქ გასული „კელტები" ნიუჯერსულ „ბადეებს" დაუცდიან.



ცუდად წაიყვანენ „ლეიკერსს" ტონი პარკერი (9), ტიმ დანკანი (21), დევიდ რობინსონი და სხვა სანანტონიოელები

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 4 |
| სან ანტონიო | 1 |

**ლეიკერსი 93:87 სან ანტონიო**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (26), ონილი (21 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება), ფოქსი (17)

**სან ანტონიო:** დანკანი (34 ქულა, 20 მოხსნა), დანიელსი (16), პარკერი (14)

ბევრი იწვალა თუ ცოტა, საბოლოოდ მაინც წააგო „სან ანტონიომ" ყველას და ყველაფრისმომგებ „ლეიკერსთან" დუელი და თავმოსაწონად ის თუ დარჩება, რომ „ლეიკერსს" ბოლო 25 საპლეიოფო თამაშში ორად ორი მარცხიდან ერთი სწორედ მან შეამთხვია. დიახ, უძლეველ ჩემპიონთან სერიის 1:4 წაგება სჯობს 0:4 განადგურებას, რასაც შარშან ვერ გადაურჩნენ ტეხასელები, მაგრამ „სფურზისთვის" ეს მთლიანობაში მაინც მცირე ნუგეშია.

არ გაგიკვირდეთ, „სან ანტონიო" წლეულს „ლეიკერსთან" გამარჯვებას გეგმავდა. ამ გუნდში თამაშობს ტიმ დანკანი, წლევანდელი სეზონის ყველაზე გამორჩეული მოთამაშე, რომელსაც მხარს უმშვენებს 19 წლის ჯადო ახალბედა ტონი პარკერი. დანკანიც და პარკერიც სოლიდურად გამოიმზირებოდნენ როგორც პირველ წრეში „სიეტლთან" ჭიდილში, ასევე შემდგომ „ლეიკერსთან" ჯახში. პარკერს საპლეიოფო მატჩებში საშუალოდ 15 ქულა მოუგროვდა. „სფურზი" თითქმის ტოლ-სწორად ებრძოდა შაკს და კომპანიას. დანკანმა სერიის არც ერთ თამაშში არ ჩააგდებინა ონილს 30 ქულაზე მეტი და მისიანებმაც კობი ბრაიანტსაც ერთადერთხელ მისცეს ამის ნება, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა.

„ლეიკერსს" შაკის ძალის, კობის სისწრაფესა და სხვა ფიზიკურ უპირატესობებთან ერთად გამოცდილებაც შეეშველა. შეიძლება ითქვას, ჩემპიონთა მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა საქმის ცოდნით აჯობა კოლეგა გრეგ პოპოვიჩს. „ლეიკერსმა" ოთხივე მოგებულ თამაშში ბოლო მეოთხედში წაართვა უპირატესობა „სან ანტონიოს". ახლაც შეხვედრის დასკვნითი ორნახევარი წუთი ლეიკერსმა კობი ბრაიანტის წყალობით 10:4 მოიგო და „სან ანტონიოს" სეზონი სასურველზე ადრე დაასრულებინა.

და შეძლებს კი დასავლეთ კონფერენციის მეორე ფინალისტი „საკრამენტო კინგზი" ფილ ჯექსონის მანქანის გაჩერებას? ორი წელია „საკრამენტოს" მხოლოდ მარცხი ახსოვს „ლეიკერსთან".

**ირაკლი ფირცხვილი**



# რუსულ რაგბის მამა მოუკვდა, მაგრამ არ დაობლებულა

## დათვი უძახე და, ფერადი ლითონიც მაგისია და ძვირფასი ქვაც



რუსთა კაპიტანი ვიაჩესლავ გრაჩოვი ნაკრებს დაუბრუნდა

**2003 წლის** მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო ეტაპზე საქართველოსა და ირლანდიის ყველაზე სავარაუდო მეტოქემ რუსეთმა შესარჩევი შეჯიბრი ბოლოსწინა ეტაპიდან დაიწყო. სამგუნდა ჯგუფში 5 მაისს რუსებმა პირველ მეტოქე ჩეხეთს პრაღაში 37:18 მოუგეს და 1 ივნისს მოსკოვში ჰოლანდიელებს დაუხვდებიან. თუ რუსეთი არ დაინგრა, იქაური „დათვები" ნაღდად ლერა-ლერა გაკრეფენ მაჩაჩალა „ტიტებს" და 5 ოქტომბერს თბილისშიც ჩამოვლენ.

ჰოლანდიამდე რუსეთის ნაკრები 19 მაისს ტოკიოში ჩავა და იაპონელებს ტესტს გაუმართავს. საამატჩოდ რუსთა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა 25 მორაგბეს უხმო. კვლავ გუნდში არიან ფრანგული „მონტობანის" მორკინალები — სერგეი სერგეევი და ვიაჩესლავ გრაჩოვი, რომელმაც „იოლ" ჩეხებთან მატჩი გამოტოვეს. ტოკიოში არ იქნება მათი თანაკლუბელი კონსტანტინ რაჩკოვი, რომელიც ტრავმირებულია. იაპონელებს დაუპირისპირდებიან გარუსებული სამხრეთაფრიკელები — იოჰან ჰენდრიქსი, რენე ფოლხენკი, ვერნერ პიტერსი. პერვუხინის საიაპონიო შემადგენლობა ასეთია: *რაშიდ ბიკბოვი, ოლეგ შუკაილოვი, იოჰან ჰენდრიქსი, რაშიდ საგდეევი, რენე ფოლხენკი, ვერნერ პიტერსი, ანდრეი ჩუპინი, ვლადიმირ სიმონოვი, იგორ ნიკოლაიჩუკი, ალექსანდრ ზაკარლიუკი, ვალერი ფედჩენკო, ივან ნაუმენკო (ყველა „კრასნი იარი"), რომან რომაკი, ვიაჩესლავ ზიკოვი, ალექსეი კორობეინიკოვი, იგორ დიმჩენკო, რომან შელეპკოვი, იგორ ბუდნიკოვი (ყველა „ენისეი სიბტიაჟმაში"), ვიქტორ მოტორინი, ალექსეი ტრავკინი, ალექსანდრ ხროკინი, ანდრეი კუზინი (ყველა „ვვა პოდმასკოვიე"), ვიაჩესლავ გრაჩოვი, სერგეი სერგეევი (ორივე „მონტობანი"), ოლეგ შუკოვი („ფილი").*

ნაჰოლანდიევს რუსებს გრძელვადიანი შეკრება აქვთ დაგეგმილი სამხრეთ აფრიკაში, მაგრამ რუსული მედია შიშობს, რომ ეს შეკრება არ გამოვა. მიზეზი კრასნოიარსკის გუბერნატორის ალექსანდრ ლებედის ტრაგიკულად დალუპვაა. რუსული რაგბის ცენტრი ბოლო დროს ხომ ციმბირია და ლებედიც გვარიან ფულს ახარჯავდა მორაგბეებს. მამა-მარჩენალის დალუპვის შემდეგ კი რაგბისთვის არავის ხელი ცხელა და ციმბირული ალუმინიდან გამოდნობილი ფული, ალბათ, სხვა გზას ეწევა. რუსეთის რაგბის კავშირს სათადარიგო გეგმაც აქვს, თუ ციმბირის ხელმძღვანელობა რაგბის არ დააფინანსებს, მაშინ საქმეში აფრიკული ფული დატრიალდება. რუსეთის რაგბის კავშირს კარგა ხანია, კომერციული ურთიერთობა აკავშირებს აფრიკელ მეალმასეებთან და ძვირფასი ქვის რეალიზაციიდან თავისი წილი აქვს.

**ბაჩო სვანიძე**

# მიაწვა, მიაწვა, ქალი მიაწვა!



ახალზელანდიელ მორკინალ ელენ ვააგას შეჩერება ქალებს კი არა, კაცებსაც გაუჭირდებათ

**მსოფლიოს** უძლიერეს სარაგბო სადიაცოს ახლა ბარსელონაში მოუყრია თავი, სადაც ქალთა მსოფლიოს თასი იმართება. დიახ, ეგებ ბევრმა არც იცოდეს და ამ ხულიგნურ თამაშს მარტო ჯენტლმენები კი არა, ქალბატონებიც თამაშობენ. კატალონიის დედაქალაქში ეგზოტიკის მოყვარული ბლომად ტურისტიც ჩასულა და ქალთა ბურთაობას თურმე მოსეირე არ აკლია. ვერ დავიჩემებთ, იქ მყოფები მობურთალთა შხვართი ფეხების, ანაც სხეულის რაგინდარა ნაწილების ხილვით დატკბნენ, მაგრამ მკერდ-ბარძაყის ჩალურჯება-ჩასილაქებით რომ ისეირებენ, ნაღდია.

პირველი სათამაშო დღე უკვე მიილია. კაცთა დარად, აქაც სარაგბო ბობოლეთის ქალები ჩაუქობენ და ეს იმგვარად გამოსდით, ვინძლო ხვადებსაც შეშურდეთ. შეჯიბრის პირველივე დღეს ახალმა ზელანდიამ ცხადყო, ოთხი წლის წინ მოპოვებული თასი რომ არ ეთმობა და წლეულსაც საჩემპიონოდ ირჯება. „კივებმა" გერმანელი ფრაუები გამოიჭირეს და სარეკორდოდ — 117:0 მოუგეს. მოგება მოგებად და მატჩამდე ერთი თვალსასეირო ამბავიც მოხდა. ზელანდიელებმა ტრადიციული მატჩისწინა რიტუალი „ჰაკა" რომ დაასრულეს, მათი ლიდერი ელენ ვააგა მუხლებზე დაეცა და ლოცვასმაგვარი იბუტბუტა. თურმე ეს მთაქალი რომელიღაც სექტას ერთგულობს და იმათი ადათით მოქცეულა.

სხვათაგან ავსტრალიამ უელსს 30:0 მოუგო, საფრანგეთმა ყაზახეთს 31:12, ინგლისმა იტალიას 63:9, კანადამ ირლანდიას 57:0, შოტლანდიამ სამოას 13:3, აშშ-მ ჰოლანდიას 87:0 და მასპინძელმა ესპანეთმა იაპონიას 62:0. სხვათა შორის, ესპანურ რაგბიში მატრიარქატია, რაკი იმათი ქალები კაცებს ნაღდად სჯობნიან და საქალო ექვსი ერიც არაერთხელ მოუგიათ.

**ბაჩო სვანიძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# დაიღალა მარჯნის მაჯა ჩემოდნების თრევით

## ვინუსმა ანას უგანა, ერთხელ ეგაც აყვავდესო



ვინუს უილიამსი მაჯამ დაადალტა

**მასტერსის სერია**
ჰამბურგი. თიხნარი
საპრიზო 2,828 მილიონი $

**პირველი წრე**

**გუსტავო კუერტენი (2, ბრაზილია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 7:5; მარატ საფინი (6, რუსეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:3, 6:4; ტომი ჰაასი (7, გერმანია) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:1, 6:4; ტომას იოჰანსონი (8, შვედეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:7 (2:7), 6:3, 6:3; სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:2, 6:2; როჯერ ფედერერი (11, შვეიცარია) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:1, 6:4; ენდი როდიკი (13, აშშ) — ტოდ მარტინი (აშშ) 7:6 (7:4), 6:2; ირჟი ნოვაკი (14, ჩეხეთი) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 7:6 (7:4), 6:2; მარიანო საბალეტა (არგენტინა) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4, 6:4**

ჩრდილოგერმანულ ჰამბურგქალაქში ჩასულ ბობოლებს ეს დღე შემოსავლიანი გამოუდგათ — რვა განთესილიდან რვავემ ბარაქიანად იბურთავა და, მართალია, ზოგმა მეტად, ხოლო ზოგმა ნაკლებად, მაგრამ მაინც ყველამ დამაჯერებლად მოიგო.

ბრაზილიელ გუსტავო კუერტენს, ვინაც იქ რანგით მეორე ჩოგანს აქნევს, გერმანელ ნიკოლას კიფერთან დავა ცალკე სტიქიის ბობოქრობის გამო გაუგრძელდა, ცალკე კიდევ მეტოქისა.

და მართლაც — პირველი სეტის დამლევს ისეთი შხაპა-შხუპი ატყდა, რომ სამეორსეტოდ ტურნირის მახვშებს „როთენბაუმის" მთავარკორტზე მოძრავი სახურავის გაშლაც მოუხდათ. თუმცა, გულზე ჩოგანი დავიდოთ და, თამაშზე ზეგავლენა ამას არ მოუხდენია — მასპინძლის კადნიერ მოძალებას ჰამბურგის 2000 წლის ამკლები მანამდეც დასტურ იგერიებდა და ჩაუქი გარჯა მერეც უყოყმანოდ გააგრძელა.

ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, ოღონდ საროლანგაროსედ სრულ მზადყოფნას მაინც ვერა ვგრძნობო. მართალია, არაფერი მაწუხებს, მაგრამ კორტს ძველებურად ჯერ არ გავშინაურებულვარო — გუგას ასეთ ნამატჩევ განცხადებებს, მის ქომაგებს არ შეეშინდეთ და, საფუძველი მართლაც მოეძევება.

ჩვენ კი, სანამ მომდევნო მატჩებზე გადავიდოდეთ, აქვე ერთი რამეც დავამატოთ — გუსტავო კუერტენი და შამანჩილელი მარსელო რიოსი ამჟამად მოჩოგნავე ორად-ორი კაცია, ვისაც მასტერსის სერიის სამივე სათიხნარე ტურნირზე (მონტე კარლოში, რომსა და ჰამბურგში) უმარჯვია!

სხვაფრივ:

გუგაბიჭის მიერ ორიწლისწინანდელ ფინალში ძლეულმა მარატ საფინმა იტალიელ დავიდე სანგვინეტის აჯობა. იტალიელს, ეგებ ვინმეს აინტერესებს და, იქ სამჯერ უთამაშია და სამივეჯერ, ვაგლახ, პირველივე წრიდან გავარდნილა.

უპრობლემოდ გაილალა ტომი ჰაასმაც, ვისაც წინა კვირას რომაულ ფინალში გასვლა თორმეტთვიან მცოცავ რეიტინგში მეორე ადგილამდე ალზევებად დაუფასდა. მან თვისტომსა და ტურნირზე საშვით მოხვედრილ ლარს ბიურგსმიულერს გადაუარა.

წლევანდელმა მეავსტრალიე ტომას იოჰანსონმა შიდაშვედურ შეხლაში იონას ბიორკმანი დაიურვა, თუმცა საამისოდ — განთესილთაგან ერთადერთს — სამსეტიანი ხათქა-ხუთქი დასჭირდა.

ჩაიფლავა ოდინდელმა ზეათეულელმა და ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელმა ფინალისტმა არნო კლემანმა. ამჟამად მსოფლიოში 46-ე ფრანგს საპარიზო ბილეთი ჯიშად მეთიხნარე გაუჩო მარიანო საბალეტამ გამოუწერა. აზრზე არა ვარ, რა მჭირს, მაგრამ თამაშს გულს ველარ ვუდებ და სულ ქვევით და ქვევით ვეშვებიო, თავის მორიგ მარცხს კლემანმა აი, ეგეთი ფინაჩი კომენტარი მიაყოლა.

მერე კი იყო ყრმაჯილა ამერიკელის, ენდი როდიკისა და მისი ჭარმაგი თანადევისმენაკრების, ტოდ მარტინის შუშპარა დავიდარაბა, რომელსაც მძლავრი გლაჯუნის გარდა გინებაც კაცურად ახლდა და ჩოგნის სროლაც. არადა, ენდის ყველაფერი რიგიანად გამოსდის — ხორხს მოწოლილ ბოლმასაც ჯიქურ ანთხევს და ხელწალმაუკულმებსაც ხომ საუცხოოდ აყუმბარებს. მოკლედ — კაი ყრმაა და, პირველ სეტში იმიტომ კი არ ვიშმაგე, რომ ტოდი მავიწროვებდა, არამედ იმიტომ, რომ ამ მურდალმა ქარმა ამჯაგრაო, მერე, აი, ეგრე იმართლებდა თავს.

სულ ბოლოს კი — როდიკის კბილა-დოსტმა ჯეიმს ბლეიკმა ჩეხ ირჟი ნოვაკთან (14) დათმო, სებასტიან გროჟანმა (10) კი კიდევ ერთ ამერიკელს, ჟან-მაიკლ გემბილს მესამე საურთიერთო შეხვედრაში მესამევე მარცხი აგემა. იხალისა როჯერ ფედერერმაც (11), ვისი გონივრული გარჯის ხილვაც, რაღა დასამალია და, ყველას მაგრად მოგვენატრა.

**იტალიის ღია პირველობა**
რომი. თიხნარი
საპრიზო 1,224 მილიონი $

**პირველი წრე**

**სილვია ფარინა ელია (9, იტალია) — ელს კალენსი (ბელგია) 6:0, 6:4; ანასტასია მისკინა (რუსეთი) — დანიელა ჰანტუ[illegible]ვა (11, სლოვაკეთი) 6:4, 6:4; აი სუ[illegible]ამა (იაპონია) — ელენა დემენტიევა (12, რუსეთი) 6:4, 7:5; პატი შნიდერი (13, შვეიცარია) — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:3; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 0:6, 6:1, 7:6 (7:4); ანა სმაშნოვა (ისრაელი) — ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 6:1, 6:2; ბარბარა შეტი (ავსტრია) — მეილენ ტუ (აშშ) 6:3, 7:5; დინიზა პლადკოვა (ჩეხეთი) — ტამარინე ტანასუგარნი (15, ტაილანდი) 6:0, 6:2**

**მეორე წრე**

**ჯენიფერ კაპრიატი (2, აშშ) — მაია მატევეიჩი (სლოვენია) 6:2, 6:1; ანა კურნიკოვა (რუსეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:1, 4:6, 6:1**



ანა კურნიკოვამ, როგორც იქნა, მეორე წრე გაიარა

სამეორწრეო მატჩში ანა კურნიკოვა თავის უმოწყალო მმუსვრელს, ვინუს უილიამსს უნდა შეხლოდა. აქეთ ტრავმის გამო გვემულს, იქით კიდევ მრუშ პაპარაცთაგან აკლებულ ანას ამჯერად როგორღაც ბედმა გაუღიმა — მატჩის დაწყებამდე ზედ 5 წუთით ადრე, როცა ეშხიან კიდურებს სავინუსოდ იხურებდა, მასაც და „ფორო იტალიკოზე" შეყრილ მილეთსაც მწუხარებით ეუწყა, რომ პირველ ნომრად განთესილ მსოფლიოს მეპირველეს ტურნირიდან გამოთიშვა გადაუწყვეტია.

ნუ შეგეშინდებათ — სახიფათო არაფერია და, ვინძლო, უფროსი შავდის მჭევრი ჩოგნაობა არც მოახლოვებულ როლან გაროსზე მოვისაკლისოთ! შემთხვევით კი ვინუსს აი, რა შეემთხვა: კვირას საკუთარი ჩემოდნის აწევისას მარჯვენა მაჯა დაჭიმვია და კვირიდან ორშაბათის გაყოლებით ისე ასტკივებია, რომ მტრისას. ეგ მით უფრო, რომ რომის ქუჩებში სარეკლამოდ ყიალი და იქაურ ბავშვებთან სალლაბუცო ჩოგნის ქნევა არ დაიშალა და ნატკენი მაჯა კიდევ უფრო გაისატკივრა...

რაღა ბევრი გავაგრძელოთ — მაჯადამანჭულ ვინუსს უკანასკნელ წამს კვალიფიკაციაში დამარცხებული თვისტომი, ლილია ოსტერლო ჩაენაცვლა. ამას კი ხელმეორედ დამარცხება აღარ გასჭირვებია და ანა კურნიკოვამ წლევანდელი პირადი რეკორდი გაიმეორა — ერთ ტურნირზე ორი შეხვედრის მოგება შეძლო! ასეთი რამ სექსანას მარტში, მექსიკის ღია პირველობაზეც გამოუვიდა.

დანარჩენ შეხვედრებში აი, ასეთი ამბები ხდებოდა — ჯენიფერ კაპრიატიმ, ვინაც ჰინგისის, სელეშისა და აგერ უკვე ვინუსის არყოფნაშიც ტურნირის უმთავრეს ფავორიტად დაშთა, სლოვენი მაია მატევეიჩი გამოიჭირა და საოცარი გამეტებით უბრახუნა. ეს გასაგებიცაა — ჯანიანი ჯენი რომში აქამდე მეოთხედფინალს არ გასცილებია და, თუ გაინტერესებთ, იქ 1993 (!) წლიდან აღარ მოუგია.

და ვისი უნდა ეშინოდეს ჯენის ახლა? ალბათ, შარშანდელი ჩემპიონის, სასწაულად მომხიბლავი ელენა დოკიჩისა, ბომბორა ბელგიელი კიმ კლაისტერსისა, უძლავრესი სერენა უილიამსისა და კიდევ ჟუსტინ ენენისაც. კაპრიატის გატყეპვა, ცოდვა გამხელილი სჯობს, ყოველ ამათგანს ჩოგანეწიფება.

და ვის აღარ უნდა უფრთხოდეს ჯენი? დასტურ დანიელა ჰანტუხოვას (11), ელენა დემენტიევას (12) და ტამარინე ტანასუგარნს (15). ამ განთესილ გოგონებს ხომ რომიდან, შესაბამისად, ანასტასია მისკინამ, აი სუგიამამ და დენიზა ჰლადკოვამ აბარგებინეს.

# რა ჯდება კერტების დიამეტრთა დაუმთხვევლობა?

## რამდენი რამესირია ამ ქვეყანაზე!



ბობ გუჩონე

**„პენტჰაუზის"** საივნისო ნომერში დაბეჭდილი ფოტოების ამბავი, იმედია, ჯერ არ დაგვიწყებიათ. აი, იმ ფოტოებისა, ჟურნალის მტკიცებით რუს მეჩოგნე ანა კურნიკოვას რომ ეკუთვნოდა და სინამდვილეში 28 წლის ჯუდით სოლტეშ-ბენეტონის, იტალიელი მემოდელე-დიზაინერის, ლუჩანო ბენეტონის რძლისა რომ გამოდგა.

თუ არ დაგვიწყებიათ, მაშინ ისიც გეხსომებათ, რომ ამ საქმეში გარეულმა ორივე ქალმა, გამობეჭდილმაც და გამოუბეჭდავმაც, მსიძავ ჟურნალს სასამართლოში უჩივლა და „მორალური ზარალის" ანაზღაურება მოსთხოვა. თუკი ანას აგენტებს არ დაუკონკრეტებიათ, რა თანხა დაედება მტლედ მათი კლიენტის შებღალულ ღირსებას, ჯუდითისამ უყოყმანოდ გაამხილა, რომ ამ საქმიდან 10 მილიონ დოლარს გამოელიან.

სოლტეშ-ბენეტონის სარჩელს — ეგებ როგორმე ეგეც გაიხსენოთ — მანჰეტენის ფედერალური სასამართლო განიხილავს და იქაურმა მოსამართლემ უკვე განხილვის მეორე დღესვე ბრძანა, რომ „პენტჰაუზის" საივნისო ნომერი გაყიდვიდანაც ამოღებულიყო და ვებსაიტებზეც დახურულიყო — იმდენად აშკარა იყო ჟურნალის მახვშთა მიერ ჩადენილი სიყალბე!

სწორედ მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა „პენტჰაუზის" შეფთა მონანიე განცხადება, რომელშიც ისინი ორივე ქალს „დიდ ბოდიშს" უხდიდნენ და საქვეყნოდ ირწმუნებოდნენ, რომ შეცდომა ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე მოუვიდათ.

ახალი ინფორმაცია ამ სკანდალური საქმის შესახებ კი გუშინ მივიღეთ. ეს მას შემდეგ, რაც მანჰეტენელმა მოსამართლე დენი ჩინმა იმ ავადსახსენებელი ფოტოების გადამღები, ვინმე ფრანკ რამესირი დაჰკითხა.

ეს ბატონი პროფესიონალი ფოტოგრაფი სულაც არ გახლავთ, იგი სენტლუისელია და პურის ფულს ძვირფასთვლეულობის მაღაზიაში გამყიდველობით შოულობს. მზეს მიფიცხებული შიშველი ქალების ვიდეოფირზე აღბეჭდვა კი მისი ჰობი ყოფილა. ამგვარი ფირები მას იმდენი დაჰგროვებია, რომ ამ წლის ადრეიანვარში მათი დახარისხება გადაუწყვეტია. სწორედ ფირთა გადათვალიერებისას იყო, თავის ერთ-ერთ „მსხვერპლში" ანა კურნიკოვა რომ „ამოიცნო".

„თვალს არ ვუჯერებდი, ნუთუ ასე გამიმართლა-მეთქი" — თქვა მან პროცესზე.

ხოლო სოლტეშ-ბენეტონის ადვოკატის, ჯად ბერნსტაინის კითხვაზე, თუ რამ გადააწყვეტინა, რომ ფირზე აღბეჭდილი ქალი მაინცდამაინც კურნიკოვა იყო და არა ვინმე სხვა, რამესირიმ რამდენიმე მიზეზი დაასახელა. ამათგან უმთავრესი ის გახლდათ, რომ — თურმე ნუ იტყვით — ამ ქალის კერტები ზუსტად ისეთივე დიამეტრისა ყოფილა, როგორიც ანა კურნიკოვას კერტებსა აქვთ!! რუსი მეჩოგნის ეს ნაწილები კი მას ინტერნეტში გამოფენილი იმ ფოტოების მიხედვით შეუსწავლია, რომლებზეც ანას სველი და ტანზე შემოტკეცილი გამჭვირვალე ქსოვილი მოსავს.

ერთი სიტყვით, ამ ფოტოებსა და მის მიერ გადაღებულ ფირზე დაფიქსირებულ კერტთა მსგავსებას იგი ისე აუტროკებია, რომ უმალვე „პენტჰაუზში" დაურეკავს. ჟურნალში ბევრი არ უფიქრიათ და ძალიან მალე მოხალისე რამესირი ბობ გუჩონეს, გამოცემის დამაარსებელსა და მფლობელს შეხვდა...

„იდიოტი ვარ — იძახდა თურმე რამესირი — მაგრამ გეფიცებით, ჩემს მტყუანობაში მხოლოდ მაშინ დავრწმუნდი, როცა აქ, ამ დარბაზში ჯუდით სოლტეშ-ბენეტონი დავინახე".

ამ სიტყვების მერე კი რამესირი გაუთავებლად ტიროდა, ყოველ მეორე სიტყვაზე ბოდიშს იხდიდა და, ზოგიერთ გულჩვილს ეგებ ისეც მოაჩვენა საქმე, თითქოს მართლაც არაფერი იცოდა.

ქალთა კერტებზე ამ ფოტომონადირე კაცის მერე მოწმედ თავად ბობ გუჩონე გამოიხმეს. სენიორ გუჩონემ თავისი შეცდომის ახსნა სცადა — ჯერ კურნიკოვასა და სოლტეშ-ბენეტონის მაჯის საათებზე ილაპარაკა, მერე მათი ჭორფლების მსგავსება და სულ ბოლოს... მიხვდით? ისევ კერტებს მიადგა, აქაოდა, ჩვენ (ესე იგი, ამ საქმის გამორჩევით მცოდნეებიო) ამათ მსგავსებას აპრეხილობითა და სხვა ეგეთი მახასიათებლებით ვცნობთო. მოკლედ, მაგრად გაუტია და რამე.

არადა, მისი გატევა მაშინ ნახეთ, ამ ქალებისთვის მართლა მილიონების გადახდა თუ მოუხდა. „პენტჰაუზის" მფლობელის, „ჯენერალ მედია კომუნიკეიშენსის" ფინანსური მდგომარეობა ისედაც მძიმეა და, თუკი მოსალოდნელ ზარალთან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „პენტჰაუზის" ტირაჟმა უკვე 5 მილიონიდან 650 ათასამდე დაიკლო, მაშინ მთელი ამ კომპანიის „ბენკ ოფ ნიუ იორკის", მისი გარანტის მიერ გადაყლაპვა გარანტირებული ამბავი უნდა იყოს.



ჯუდით სოლტეშ-ბენეტონი

სხვაფრივ — პროცესზე გუშინ რამესირის ფოტოებისთვის ტექსტის მიმწერი, ვინმე ანეტ უაითრიჯიც დაკითხეს. ამ ქალმა პალალად აღიარა, რომ მთელი ტექსტი, ანა კურნიკოვას გამონათქვამების ჩათვლით (სადაც იგი, სხვათა შორის, თავის მკერდზეც საუბრობს), მთლიანად ინტერნეტიდან გადაიწერა. აბა, რისთვის დამერეკა, აქ ხომ მთავარი ფოტოები იყო და არა სიტყვებიო — მერე ეგრე ტუტუცურად იმართლებდა თავს.

**ლევან ქელაურაძე**

# ასეთი ჩიპოლინი 10 წელია, არ გინახავთ

## სუპერმარიომ წაიტრაბახა

**ჯირო 2002-ის** ბელგიური ფერვიერსიდან ლუქსემბურგულ ეშ-სურ-ალცეტემდე გადაჭიმული 206-კილომეტრიანი ტრასა ყველაზე სწრაფად უჩაუქს იტალიელ ვეტერანს, მარიო ჩიპოლინის დანებდა.

36 წლისა და აწ უკვე 36-ე საჯირო ეტაპის მომგებ სუპერმარიოს საფინიშე მონაკვეთამდე მისი თანაგუნდელები, აკვა ე საპონელი მრბოლები მიუძღოდნენ, ფინიშამდე დარჩენილი 200 მეტრი კი მან უკვე მარტოკაცად ირბოლა — მის ფანტასტიურ აჩქარებას სატერფული ვერავინ აუწყო!

მეორე ასევე იტალიელი, ოღონდ ფონაკელი მასიმო სტრასერი იყო, ბოლო საკვარცხლბეკო ადგილი კი გერმანელმა დანილო ჰონდომ მოიხვეჭა.

„ეგებ ვინმეს ადვილი ჰგონია, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, სპრინტის მოგება ადვილი სულაც არ გახლავთ" — ამბობდა მერე ჩიპოლინი.

„მე კარგად გაწვრთნილი, პროფესიონალებისგან შემდგარი გუნდის წევრი ვარ და როცა ჩემი ბოლომრბოლი, ჯოვანი ლომბარდი უკანასკნელ 200-მეტრიან მონაკვეთამდე მიმიყვანს, მე ჯერ კიდევ გადასაწყვეტი მაქვს, თუ როგორ უნდა ჩამოვიტოვო სხვები და როგორ მოვიგო რბოლა".

„მენდეთ — ეს სულაც არ არის ადვილი!".

მაგრამ ეს ყველაფერი ბოლოს იყო, თავში კი კათხისპირულად წვიმდა და მბორკავი პირქარი ილრინებოდა. ამიტომაც — პირველი 30 კილომეტრი პელოტონმა გუნდად და შეკრულად ირბოლა.

30 კმ-ის მერე კი ბელგიელმა მარკ სტრეელმა (ლანდბუვკრედიტი) ლიანგთან კავშირის გაწყვეტა არჩია და მართლაც ისე გაუტია, რომ მალე 18 წუთით დაწინაურდა.

კადნიერს მხოლოდ ფინიშამდე 14 კილომეტრით ადრე დაეწივნენ — პელოტონის სათავეში საამდროოდ უკვე „აკვა ე საპონეს" ზებრაზოლებიან მაისურებში ნაკვართი ბიჭები რბოდნენ.

ამ ბიჭებთან გადავება მხოლოდ ბრიტანელმა მაქს შიანდრომ (ლამპრე) გაბედა, მაგრამ ეს უკვე ბოლოსკენ მოხდა, სადაც ყველაფერი უკვე ჩიპოლინის უნდა გაერკვია.

მოკლედ — სუპერმარიომ წლეულს უკვე მეორე ეტაპი მოიგო და საიმისოდ, რათა ყველა დროის მეჯიროე ალფრედო ბინდას რეკორდს გაუსწორდეს, კიდევ 5 ეტაპის მოგება სჭირდება.

„ვნახოთ, წელს რასაც შევძლებ, მოვიგებ, მაგრამ ბინდას რეკორდს გაისამდე ვერ მოვერევი — პასუხობდა ჩიპოლინი — სიმართლე გითხრათ, მე იმითაც ბედნიერი ვარ, ორი ეტაპის მოგება რომ მოვახერხე. თუმცა არც იმას დავმალავ, რომ თავს ახლა უმძლავრესად ვგრძნობ. ბოლო 10 წლის განმავლობაში, ვინძლო, საუკეთესო



მეოთხე ეტაპის გმირი რობი მაკივენი

ჩიპოლინის სჭვრეტდით. შეიძლება ისეთი ფეთქებადი აღარ ვარ, 25 წლისა რომ ვიყავი, მაგრამ სანაცვლოდ იმხელა გამოცდილება მაქვს, ბარე ას ღლაპს რომ დააპურებს".

საერთო ჩათვლას კი კვლავაც „მაპეის" სტეფანო გარძელი ლიდერობს. ჩიპოლინიმ მას ვერაფერი ამოუგო, რადგანაც ფინიშის ხაზი ვარდისფერმაისურიანმა მრბოლმა მთავარლიანგთან ერთად გადაკვეთა.

**ქარლო გოგოლი**

**14 მაისი. მესამე ეტაპი**

**ფერვიერსი — ეშ-სურ-ალცეტე (206 კმ)**

1. მარიო ჩიპოლინი (იტალია, „აკვა ე საპონე") 5 საათი, 46 წუთი, 57 წამი
2. მასიმო სტრასერი (იტალია, „ფონაკი")
3. დანილო ჰონდო (გერმანია, „ტელეკომი")
4. ისააკ გალვეს ლოპესი (ესპანეთი, „კელმე")
5. მიხაილო ხალილოვი (უკრაინა, „კოლომბია ტიმი")

ყველას ერთი დრო

**15 მაისი. მეოთხე ეტაპი**

**ეშ-სურ-ალცეტე — სტრასბური (232)**

1. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) 5 საათი, 37 წუთი, 13 წამი
2. მარიო ჩიპოლინი (იტალია, „აკვა ე საპონე")
3. ენრიკო დეგანო (იტალია, „პინარია")
4. გრემ ბრაუნი (ავსტრალია, „პინარია")
5. ალექსანდრო პეტაჩი (იტალია, „ფასა ბარტოლო")

ყველას ერთი დრო

**საერთო ჩათვლა**

1. სტეფანო გარძელი (იტალია, „მაპეი") 22 საათი, 34 წუთი, 55 წამი
2. ფაბრიციო გვიდი (იტალია, „კოასტი") +9 წმ
3. რიკ ვერბრიუგე (ბელგია, „ლოტო") +19
4. ხუან კარლოს დომინგესი (ესპანეთი) +21
5. მათიას კესლერი (გერმანია, „ტელეკომი") +27



პელოტონს მესამე ეტაპის ფინიშზე მარიო ჩიპოლინი შემოუძღვა



**NHL სტენლის თასი**

მეორე წრე, ოთხ მოგებამდე

14 მაისი

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ტორონტო | 4 |
| ოტავა | 3 |

**ტორონტო 3:0 ოტავა 0:0 1:0 2:0**

1:0 მოგილნი (32), 2:0 მოგილნი (46), 3:0 მაკეიბი (55)

# ტორონტოს მოგება შუბლზე ეწერა

„დღეს ჩვენ გულით ვთამაშობდით, ისინი კი გონებით. ჩახედეთ ჩემს ბიჭებს თვალებში და თვად მიხვდებით, თუ რატომ მოვიგეთ" — თქვა ნამატჩევს ტორონტოს თავკაცმა პეტ ქუინმა. ოტავასთან მეშვიდე მატჩში და საერთოდ მთელ სერიაში სულის სიმტკიცე გამოიჩინა მისმა გუნდმა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. „ნეკერჩხლის ფოთლები" არაერთხელ იძირებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც დაარწმუნეს ყველა, რომ ნებისყოფა გუნდს ბევრ ბარიერს გადაალახვინებს.

ტორონტოსთვის ეს სერია უაღრესად მძიმე გამოდგა — თავიდან აშკარად არ მისდიოდა თამაში. თან სერიის მსვლელობაში 5(!) წამყვანი მოთამაშე დაკარგა. ბოლოს მართლაც სულისჩამდგმელი დარსი ტაკერიც დაუშავდა, მაგრამ მეექვსე მატჩში მოგების შემდეგ ტორონტოს შემჩერებელი არავინ იყო. ლიდერებმა, ვისაც ოდნავ მაინც შეეძლო თამაში (ზოგს ტრავმა ბოლომდე არც მოეშუშებინა), თავგანწირვით იბრძოლეს და, რაც მთავარია, მაქსიმალურად გამოიყენეს შექმნილი მომენტები. გადამწყვეტი გოლები კი ალექსანდრ მოგილნიმ გაიტანა. თუ პირველ შემთხვევაში მას ბედმა გაუღიმა (შაიბა მცველის ციგურამ აისხლიტა), მეორე გოლი ულამაზესი კომბინაციის დაგვირგვინება გახლდათ — ტომაშ კაბერლეს პასიც ჩინებული იყო და „ალექსანდრ მრისხანეს" დარტყმაც. ამ გოლმა საბოლოოდ გატეხა სტუმრები. ისინი თითქოს ყველაფერს სწორად აკეთებდნენ, მაგრამ უჯიგროდ შორს ვერ წავიდნენ. მხოლოდ ოტაველთა კაპიტანი დანიელ ალფრედსონი იბრძოდა თავგამოდებით, თუმც ნახევრადჯანმრთელ, მაგრამ აღმაფრენით მოთამაშე ტორონტოელებთან ვერაფერი გააწყო.

„რას იზამ, თავად გავუშვით შანსი ხელიდან. მეექვსე მატჩში 2:0 ვიგებდით და ტაი დომი ფეხზე ცოტა მაგრად რომ მდგარიყო, იქნებ ჩვენ შევხვედროდით კაროლინას — სევდიანად ამბობდა ალფრედსონი. კაროლინას კი ნახევარფინალში მათი „მოსისხლე" ტორონტო შეეჯახება.





ნეკერჩხლის ფოთოლი ისევ ტივტივებს, ტორონტო პლეი ოფს შერჩა

ICE HOCKEY SWEDEN

**მსოფლიოს ჩემპიონატი. შვედეთი 26 აპრილი — 11 მაისი**

პოსტ ფაქტუმ

# კითხვა ორია, პასუხი ერთი

## სჭირდება მსოფლიოს ჩემპიონატს ლიგა? სჭირდება ლიგას მსოფლიოს ჩემპიონატი? კაცი თუ ქვეყანაზე ფიქრობს, საკითხავი რაღაა?!

**შვედეთში** ახლახან დასრულებულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა ბევრი სიურპრიზი მოიტანა და საფიქრალიც საკმაო დატოვა. აი, მთავარი კითხვა — სჭირდება თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატს ნჰლ-ელები და თუ სჭირდება, რამდენი, როგორი. ამ მსოფლიოს ჩემპიონატმა კიდევ ერთი კითხვა ამოატივტივა — რამდენად ესაჭიროება მსოფლიოს ჩემპიონატი ნჰლ-ს, უფრო სწორად კი კანადასა და აშშ-ს?

ჯერ ციფრები მოვიშველიოთ. ჩემპიონატში 70 ნჰლ-ელი მონაწილეობდა, რომლებიც 10 გუნდში იყვნენ განაწილებულნი. ცხადია, ყველაზე მეტი კანადას (21) და აშშ-ს (14) ჰყავდათ და შესაბამისად მათ ყველაზე მეტად განაპირობეს თავიანთი გუნდების შედეგი. კანადელ მოყვარულთა ტრიოზე მხოლოდ ერთი გოლი მოდის, ხოლო შვიდმა ამერიკელმა არაპროფესიონალმა ჯამში ხუთი შაიბა ჩაიწერა. უფრო მნიშვნელოვანი ევროპული გუნდების მაჩვენებლებია. აქედან ოთხ ნაკრებს — სლოვაკეთს (10), ჩეხეთს (9), შვედეთს (8) და ფინეთს (8) დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ლეგიონერები ჰყავდა ნჰლ-იდან, მაგრამ ყველაზე დიდი წვლილი სწორედ მსოფლიოს ჩემპიონის, სლოვაკეთის პროფესიონალებმა შეიტანეს. მათ მთლიანობაში 26 გოლი (საერთოგუნდური 72 პროცენტი) და 32 პასი მიითვალეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მათგან სამი — ბონდრა, შატანი და ლინტნერი — ტურნირის სიმბოლურ ექვსეულში შევიდა, რომელშიც ნჰლ-ს გარეშეთაგან მხოლოდ რუს მეკარე სოკოლოვს და შვედ მცველ როდინს იხილავდით. იიჰფ-ს მიერ დასახელებულ საუკეთესოთა შორის კი (მეკარე, მცველი, ფორვარდი და MVP) მხოლოდ სოკოლოვი მოხვდა. ცხადზე ცხადია, რომ ლეგიონერები წამყვან როლებს ასრულებენ, ტურნირზე მათი ყოფნა აუცილებელია. მეორეხარისხოვან გუნდებსაც, ლატვიას, უკრაინასა და პოლონეთს სწორედ ნჰლ-ელები მეთაურობდნენ. უნდა ითქვას, რომ გარდა კანადისა და რუსეთის ნაკრებებისა, ნჰლ-ური დესანტი ერთობ მაღალხარისხოვანი იყო.

ჩემპიონატზე ნჰლ-ის პირველობის მეორე (ნესლუნდი) და მეექვსე (იაგრი) ბომბარდირებმა, ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ (სალო) და გოლეადორმა (ბონდრა) იასპარეზეს. დანარჩენ სლოვაკებზე აღარაფერს ვამბობთ, თავ-თავიანთ კლუბებში ყველა პირველ სამეულში რომ თამაშობს, მაგრამ აქ ერთიცაა გასათვალისწინებელი, რასაც რუსეთის მაგალითზე მოგახსენებთ. შარშანწინ მათ პეტერბურგში მთელი თავიანთი ელიტა ჰყავდათ, წლეულს კი მხოლოდ სამი ჩაიყვანეს. ამის მიუხედავად, თავიანთ მიწა-წყალზე ფიასკო განიცადეს, რადგან მაშინ ვარსკვლავები უფრო საკუთარი ოსტატობის ჩვენებით იყვნენ გართულნი, გუნდის შედეგი ნაკლებად აინტერესებდათ. წლეულს კი სამივე ნაკლებცნობილი იყო, მაგრამ თითოეული მათგანი გუნდისთვის ილვწოდა, მათ შორის ბუფალოელი დმიტრი კალინინიც, ჰოკეისტი, რომელიც 18 წლის ასაკიდან ამერიკაში ასპარეზობს. მან თავისი ქვეყნისთვის ყველაფერი გააკეთა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო რუსთაგან.

რაც შეეხება კანადას, საერთოდ ეს ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონატებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, არც ისე სოლიდური შემადგენლობა ჩაჰყვდა-ხოლმე (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ორჯერ მოიპოვა მსოფლიოს ოქრო), მაგრამ ნჰლ-ის ვარსკვლავების ყოყმანმა და უარმა მასობრივი ხასიათი რომ მიიღო, გამოფხიზლდა. აღშფოთდა მთელი საზოგადოება, რაც კანადურ პრესაშიც აისახა. საფუძველიც ჰქონდათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ხომ ისეთმა ჰოკეისტებმა იუარეს, რომელთაც ჯერ კიდევ აკლიათ სახელი და დიდება. კანადური ჰოკეის მამებს ვინძლო აღმოაჩნდეთ იძულების მექანიზმი, ასე რომ, ვინ იცის, მომავალ ჩემპიონატებზე კვლავ მძლავრი კანადა ვიხილოთ.

**სამველ ლარიბიანი**



რუსთა მეკარე მაქსიმ სოკოლოვმა ძალიან კი იყოჩაღა, მაგრამ 30 წლისას ნჰლ-ში გადასვლა ალბათ არ უწერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველად

ეს პირველად არის, რომ ფიდელ კასტრო ამერიკის პრეზიდენტს, თუნდაც ყოფილს მასპინძლობს. მხნე ჯიმი კარტერი მოტეხილ, ბლუკუნით მოლაპარაკე კუბის კომანდანტეს სწვევია ხუთდღიანი ვიზიტით და ფიდელს მისთვის ნებისმიერ დახურულ ადგილას შესვლის და პირდაპირ ეთერში ნებისმიერი რამის თქმის ნება უბოძებია. უბეისბოლოდ კი აბა, როგორ იქნება. „ლათინოამერიკანოს" სტადიონზე ორივე მოხუცი ერთად მისულა.





# ცრუ კრივი

ლოს ანჯელესში დიდ მოდად შემოვიდა „ფოქსის" სტუდიის შოუ, გამოჩენილ ადამიანთა კრივი. გამოჩენილ ადამიანებს კრივისა არაფერი გაეგებათ, მაგრამ ტელემაყურებელს კი ართობენ. თავიანთ კუნთებს გვიჩვენებენ იქაური ცნობილები ჯო ბუტაფუკო და ჯოან ლორე, მეორე რინგზე კი უფრო მეტ ხალხს მოუყრია თავი — რუსი ოლიმპიური ჩემპიონი ოლგა კორბუტი გოლიათებს შორის ჩამდგარა: ერთ დროს ენბიეის ყველაზე მაღალი მოთამაშე, ტანხმელი მანუტე ბოლი და უილიამ „მაცივარ" პერი კარგ ხასიათზე არიან.

# ახალბედა და დაბრუნებული

მონაკოში ტრადიციული წლის სპორტული, ლორეს ჯილდოები გასცეს. 2001 წლის საუკეთესო ახალბედად შარშან ფორმულაში გადმობარგებული კოლუმბიელი მრბოლი ხუან პაბლო მონტოია (მარცხნივ) გამოცხადდა, წლის დაბრუნებულად კი უიმბლდონის მომგები ხორვატი ჩოგბურთელი გორან ივანიშევიჩი.









# აილო!

ამ მუშაკაცს, ტოკიოელ სატირო ოგურას თავი ქუდში აქვს. ინტერნეტით გამოუწერია და ფიფას საბილეთო ოფისში ეს წუთია აუღია მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრები ბილეთები.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge